

რუსეთი ბელორუსის ოფიციალურად შემოერთებას აყოვნებს

A3



დასჯილი მოსამართლეები ბაქცევას არ აპირებენ

A4



ვირტუალური რეალობა თუ ნამდვილი თოვლის ბაბუა?!

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური








ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A7


## არასწორი პრიორიტეტები და ბუნდოვანი ხარჯები

### როგორ აფასებენ ექსპერტები დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტს?

ეთერ მამულაშვილი

*დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 39 პროცენტით მცირდება. შესაბამისად, კლებულობს ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების მოცულობა. მათ შორის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება, მიმდინარე წელთან შედარებით, თითქმის 50 პროცენტით მცირდება. სამაგიეროდ, იზრდება ქალაქის კეთილმოწყობისთვის გასაწევი ხარჯები. ეკონომიკური ექსპერტები ქალაქის ხელმძღვანელობას პრიორიტეტების არასწორად განსაზღვრასა და ხარჯების ბუნდოვანებაში ადანაშაულებენ.*

კიდევ ერთი, რაზეც ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ: 2006 წლის ბიუჯეტის წყალობით მნიშვნელოვნად იზრდება ადგილობრივი დონის ხელისუფლების დამოკიდებულების ხარისხი ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ალბათ, გახსოვთ ის დღე, როცა თბილისის საკრებულომ ქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტი დაამტკიცა. იმ დღეს, ძირითადად, პოლიტიკური განცხადებები კეთდებოდა და ბიუჯეტის ეკონომიკურ პარამეტრებსა და ავკარგიანობაზე ნაკლებად საუბრობდა ვინმე. სხდომის ძირითადი დრო დეპუტატთა შეხლა-შემოხლას დაეთმო და ბიუჯეტი, პრაქტიკულად, განხილვის გარეშე მიიღეს.


გაგრძელება A3 გვერდზე


## ხურდები ქალაქის მერიას

თამარ დვალი

2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობა თბილისის მერიას და ადგილობრივ გამგეობებს უყურადღებობასა და უუნარობაში ადანაშაულებს.

**"რამდენიმე დღის წინ ჩვენი ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი საახალწლო ბარათი და დაპირებების ნუსხა მომიტანეს სახლში. ვის სჭირდება მაგათი წყალ-წყალა დაპირებები, სახლი მექცევა თავზე და ყურადღებას არავინ გვაქცევს. რამდენი საათია მერიასთან ვდგავართ და ერთი კაცი არ გამოსულა, პასუხი მაინც რომ გაეცა. ამდენ ფულს რაღაც ქაღალდების ბეჭდვასა და თოვლის ბაბუის აღმოჩენაზე ხარჯავენ. ეს ხალხის დაცინვაა და მეტი არაფერი,"** - აცხადებდა გუშინ აქციაზე მისული შუახნის ქალბატონი. მისი სახლი მესამე კატეგორიის დაზიანებას განეკუთვნება.


გაგრძელება A2 გვერდზე




*მიწისძვრით დაზარალებულთა აქცია მერიის შენობასთან.*

## ხელშეკრულების რევიზია სიკვდილის ტოლფასია

### სერგეი ივანოვი: შავი ზღვის ფლოტზე შეთანხმების გადახედვა გამორიცხულია

*"გაზის კონფლიქტი" რუსეთსა და უკრაინას შორის სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენს. გუშინ გავრცელდა ცნობა, რომ უკრაინა თანახმაა, "გაზპრომისგან" ბუნებრივი აირი მაქსიმუმ 80 დოლარად შეიძინოს. მეტ დათმობაზე კიევი წასვლას არ აპირებს და თავის არგუმენტად რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფნის საკითხს იშველიებს. თუმცა, შავი ზღვის ფლოტის უკრაინაში დარჩენის ეჭვქვეშ დაყენებამ რუსი სამხედროები მდგომარეობიდან გამოიყვანა. რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი (რომელიც, ამავდროულად, ვიცე-პრემიერის თანამდებობასაც ითავსებს) გუშინ კიევს, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფო საზღვრის გადახედვით დაემუქრა.*


გაგრძელება A3 გვერდზე




*ივანოვის მკაცრ განცხადებას უმალვე გამოეხმაურა უკრაინული მხარე.*

## რას მოასწავებს გენერალ თათუხაშვილის დაბრუნება?

*ახალი წლის მიწურულს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში მნიშვნელოვანი დანიშვნა მოხდა. გენერალი გიორგი თათუხაშვილი, რომელიც მე-4 ბრიგადის მეთაურის თანამდებობიდან საკუთარი სურვილით ერთი თვის წინ გადადგა, ეროვნული გვარდიის სარდლად დაინიშნა.*

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად "24 საათისათვის"*

მისმა წინამორბედმა, ბრიგადის გენერალმა სოსო ქუთათელაძემ კი, თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. უმაღლესი სამხედრო თანამდებობიდან "საკუთარი განცხადებით" წასვლა ბოლო ხანს ტრადიციად იქცა. სწორედ ამგვარი ფორმით დატოვეს თანამდებობა დაახლოებით ერთი წლის წინ გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ და ჯარის სახეობათა სარდლებმა.


გაგრძელება A2 გვერდზე


## პოლიტიკური ნება ორმხრივია

### შსკ-ს უჩვეულო სხდომა

გუშინ მოსკოვში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა დაიწყო, რომელშიც საქართველოს მხრიდან სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა მონაწილეობს. წინა სხდომებისგან განსხვავებით, ამჯერად განსახილველ საკითხებში მხარეთა შორის სერიოზული წინააღმდეგობები აღარ არსებობს.

**"ეს სხდომა რეალური შანსია იმისა, რომ ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდეთ, ადრე მიღწეული შეთანხმებები განვახორციელოთ,"** - განაცხადა გუშინ გიორგი ხაინდრავამ. მისი თქმით, **"მიღწეული შეთანხმებების შესრულებაში არანაირი დაბრკოლება არ არსებობს,"** რადგან **"აქამდე ძირითად წინააღმდეგობას პოლიტიკური ნების არარსებობა ქმნიდა. დღეს ეს ნება ორივე მხარემ დააფიქსირა, მას მხარს უჭერს რუსეთი, როგორც მედიატორი, ასევე - ეუთო და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები."**

მისი თქმით, სხდომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იმის გარკვევაა, თუ რას წარმოადგენს "კონფლიქტის ზონა". ამის გარკვევის გარეშე ძნელია გადაწყდეს დღის წესრიგში შეტანილი საკითხები - კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, მძიმე ტექნიკის გაყვანა, განიარაღება.

სხდომაზე, ხაინდრავას თქმით, მხარეები განიხილავენ საკითხს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც კონფლიქტის მოწესრიგების ერთობლივ გეგმას შეიმუშავებს.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა განაცხადა, რომ კონფლიქტის მოგვარების ქართულ-ოსური ერთობლივი პროგრამა უახლოეს ორ-სამ თვეში მომზადდება.

**"მეტად მნიშვნელოვანია, რომ ინიციატივა ორივე მხარეს ეკუთვნის. ადრე ცალმხრივი განცხადებები კეთდებოდა და არც კონკრეტული ნაბიჯები იდგმებოდა. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ყველა პრობლემას მოლაპარაკებების მაგიდასთან გადავწყვეტთ,"** - აცხადებს ვალერი ლოშჩინინი.

მისივე თქმით, მთავარი ის კი არ არის, რომელი ინიციატივა რომელ მხარეს ეკუთვნის, არამედ სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც საქმეს შეუდგება.

**"მთავარი საკითხია შერეული საკონტროლო კომისიის ეგიდით სამუშაო ჯგუფების შექმნა, რა ინიციატივითაც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გამოვიდა. ამ იდეის განვითარებაში ის მოსაზრებებიც იგულისხმება, რომელიც ქართულ მხარეს, მათ შორის - პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს ეკუთვნის,"** - აცხადებს ვალერი ლოშჩინინი.

კომისიის სხდომა მუშაობას დღეს დაასრულებს.

*24 საათი*

## ციხის ბუნტი გრძელდება

*გუშინ ორთაჭალის საპყრობილესთან პატიმრების ოჯახის წევრებისა და ნათესავების საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა საპყრობილის ტერიტორიას ბლოკირება გაუკეთეს და გადაკეტეს შესასვლელი კარი. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ საპყრობილეში მყოფ პატიმრებზე, რომლებიც, მესამე დღეა, შიმშილობენ, ძალადობა ხორციელდება, და რომ მათ სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა. პატიმართა მშობლები შვილებთან შეხვედრას ან მათთან ადვოკატების შეშვებას მოითხოვენ.*

სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია ორთაჭალის ციხეში სპეცრაზმის შეყვანის თაობაზე. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ სპეცოპერაცია რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ჩატარდა. კოლონიაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი ბაჩო ახალაიაც იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაცია საკნებიდან აკრძალული ნივთების ამოღებას ისახავდა მიზნად. ბაჩო ახალაიას განცხადებით, რუსთავის N2 კოლონიის ტერიტორია და საკნები მთლიანად გაიჩხრიკება. **"კოლონიის პატიმრები ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს უჭერენ მხარს და ჩვენ მათ ამაში მხარს ვერ დაუჭერთ",** - განაცხადა ახალაიამ.

როგორც ცნობილია, სხვა საპატიმროებში დაწყებულ გაფიცვებს რუსთავის N1 და N2 კოლონიის პატიმრებიც შეუერთდნენ. სანახავად მისული ახლობლების თქმით, პატიმრები მათ მიერ მიტანილ საკვებზე უარს აცხადებენ და მხოლოდ სიგარეტს იტოვებენ.

საპროტესტო აქცია კვლავინდებურად მიმდინარეობს ქუთაისის N2 საპყრობილესთან. პატიმრების ოჯახის წევრები და ახლობლები საპყრობილის ადმინისტრაციას პატიმრებთან შეხვედრის ნებართვას სთხოვენ. აქციის წევრთა განცხადებით, სპეცრაზმის წევრების ძალადობა პატიმრებზე გრძელდება და, სწორედ ამის გამო, მათ არც ადვოკატებს და არც ოჯახის წევრებს არ ახვედრებენ. პატიმართა ახლობლები ციხეში ექიმების შეყვანასაც მოითხოვენ. სხვათა შორის, ამ მოთხოვნით იუსტიციის მინისტრს პარლამენტის თავმჯდომარემაც მიმართა. პატიმრები ოჯახის წევრებს საკნის ფანჯრებიდან აწვდიან ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, სპეცრაზმი მათ ფიზიკურად უსწორდება. გარდა ამისა, ახლად აშენებულ ციხეში, სადაც პატიმართა ნაწილი რამდენიმე დღის წინ გადაიყვანეს, არ არის დენი, წყალი, გათბობა და საკვები.


გაგრძელება A4 გვერდზე


### ამბები

**საპარლამენტო უმრავლესობამ განკვეთილი მოსამართლეების მოსმენა არ ისურვა**

გუშინ ოპოზიცია ამაოდ ითხოვდა პარლამენტის სხდომაზე იმ მოსამართლეების მოწვევას და მათთვის სიტყვის მიცემას, ვისაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერდა და განსახილველი საქმეები ჩამოერთვა.

A2

### ამბები

**„გარდიანი" რუსეთს მლიქვნელს უწოდებს**

"2006 წლისთვის რუსეთი ხელმეორედ გახდება "დიდი რვიანის" წევრი. ამის გამო პუტინი მსოფლიო არენაზე "ძლიერ დაკავებული" იქნება.

A3


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


### ამინდი

| | 28 /12 |
|---|---|
| თბილისი | 7 |
| ტყიბული | 10 |
| სოხუმი | 11 |
| დმანისი | 0 |
| გორი | 6 |
| ონი | 3 |
| ზუგდიდი | 13 |
| ახმეტა | 7 |
| გაგრა | 10 |
| სამტრედია | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.1924 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.1924 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| პროექტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიკატი 1155-მა ადამიანმა მიიღო

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტესტირების შედეგებს, სავარაუდოდ, დღეს გამოაქვეყნებს. 5 ნოემბერს დაწყებული ტესტირების პროცესი 17 დეკემბერს დასრულდა. ტესტირება თბილისსა და ბათუმში პარალელურად მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ ტესტირების პროცესი 6 საათის განმავლობაში გრძელდებოდა და ტესტების 70 პროცენტი საკანონმდებლო ნაწილს (საარჩევნო კოდექსი, კონსტიტუცია, რეფერენდუმი, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსი...) ეკავა, 6 ტესტი კი უნარ-ჩვევებს წარმოადგენდა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მიღების სურვილი სულ 2411-მა ადამიანმა გამოთქვა. თუმცა, 561 მათგანი ტესტირებაზე არ გამოცხადებულა. 1850 კონკურსანტიდან კი სერტიფიკატი 1155-მა მიიღო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიკატზე მისი მფლობელის მიერ ტესტირების შედეგად მიღებული ქულების ოდენობა არ დაფიქსირდება. მართალია, "საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების წესის შესახებ" ცესკო-ს 2005 წლის 21 სექტემბრის №11 დადგენილების მიხედვით, სერტიფიკატზე ტესტირების შედეგები უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება შეიტანა. როგორც ცესკოში განმარტეს, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიკატზე მიღებული ქულების ოდენობა არ ფიქსირდება.

**24 საათი**

# „გარდიანი" რუსეთს მლიქვნელს უწოდებს

გაზეთი "გარდიანი" 2006 წლის პოლიტიკური ცხოვრების პროგნოზს აკეთებს და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს კვლავ პოლიტიკური არენის ცენტრში ყოფნას უწინასწარმეტყველებს. "2006 წლისთვის რუსეთი ხელმეორედ გახდება "დიდი რვიანის" წევრი. ამის გამო პუტინი მსოფლიო არენაზე "ძლიერ დაკავებული" იქნება. "ეს ადგილი კი რუსეთმა მლიქვნელობით დაიმსახურა და არა სხვა რამით," - წერს "გარდიანი". გაზეთი ასევე დასძენს, რომ "დიდი შვიდეული" "დიდ რვიანად" ბორის ელცინის დროს გარდაიქმნა, თუმცა სწრაფადმზარდი რუსეთი, რომლის ეკონომიკა მე-10 ადგილს იკავებს მსოფლიოში, ჯერ კიდევ არასაკმარისად მდიდარია იმისათვის, რომ მსოფლიო ფინანსთა მინისტრების შეხვედრებში მონაწილეობა მიიღოს. მიუხედავად ამისა, ის იზრუნებს მსოფლიოს ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე, კლიმატის შეცვლისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. "გარდიანი" მიიჩნევს, რომ არაგონივრული იყო რუსეთის დუმის გადაწყვეტილება, არასამთავრობო ორგანიზაციებზე სახელმწიფო კონტროლის გამკაცრების შესახებ. დასავლეთის დიდი პროტესტის შემდეგ კანონი შედარებით შეარბილეს, განსაკუთრებით, ისეთი უცხოური ორგანიზაციების მიმართ, როგორიცაა "ამნესტი" და "გრინფისი". თუმცა, გამონაკლისი არც ის სამამულო ორგანიზაციებია, რომლებიც ადამიანთა უფლებების დაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებით მონიტორინგს ახორციელებენ. "პუტინი თავის გადაწყვეტილებას იმით ამართლებს, რომ ამ კანონით ტერორისტებსა და საიდუმლო აგენტებს სახელმწიფოს დასუსტებაში ხელს უშლის. ეს არგუმენტი გამოიყენა მან მაშინაც, როცა გუბერნატორების არაპირდაპირი არჩევნებისა და მასმედიის შეზღუდვისათვის მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ახშობს თავისუფალ დებატებს. 2007-2008 წლებში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ კრემლს სურს, სრული კონტროლი დაამყაროს რუსეთზე," - წერს "გარდიანი." გაზეთი ასევე მიიჩნევს, რომ ამ კანონის მომხრენი პარანოიით არიან შეპყრობილნი და "კაგებეშნიკური" სულისკვეთებით ცდილობენ, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში დემოკრატიის განვითარების უცხოური, პირველ რიგში კი, ამერიკული მხარდაჭერა შეასუსტონ. "მათ, ვისაც სურს რუსეთი იხილოს, როგორც თანამედროვე ქვეყანა, არ შეუძლიათ იგნორირება გაუკეთონ თუნდაც ისეთ ფაქტს, როგორიც იყო ნავთობის ამბიციური მაგნატის მიხეილ ხოდორკოვსკის გასამართლება. პუტინმა ბევრი მოიგო 2001 წლის 11 ნოემბრის შემდეგ წარმოებული, ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიისგანაც, რადგან ჯორჯ ბუში და ტონი ბლერი ხელს აფარებენ ჩეჩნეთის საკითხებს, ხოლო ევროკავშირი, ენერგორესურსების გამო, მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებს. მართალია, პუტინმა კომუნიზმის დაცემა "მე-20 საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად" შეაფასა, მაინც აღიარა, რომ მომავალი დემოკრატიულ ქვეყნებს, სამოქალაქო საზოგადოებებს, თავისუფალ მედიასა და დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას ეკუთვნის. "დიდი რვიანის" პარტნიორებს მოუწევთ, რუსეთს ამის შესახებ მომავალ წელს შეახსენონ," - წერს გაზეთი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# სასაზღვრო უწყებას შენობა გადაეცემა

გუშინ შვეიცარიის მხარემ საქართველოს სასაზღვრო უწყებას საგუშაგო "შატილისთვის" განკუთვნილი შენობა გადასცა. ამასთან დაკავშირებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბადრი ბიწაძემ შვეიცარიის განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ამიერკავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი, ტომას რუეგი მიიღო.

შეხვედრა შვეიცარიისა და საქართველოს სასაზღვრო უწყების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. ამ შეხვედრაზე, აღნიშნული ობიექტის და შესაბამისი დოკუმენტაციის გადმოცემის ცერემონია გაიმართა. საგუშაგოს მშენებლობაზე 64 ათასი დოლარი დაიხარჯა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსაღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

**დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საყურადღებოდ!**

შპს "საქართველოს რკინიგზა"-მ საკუთარ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა საკონკურსო წესით შესასყიდი პროდუქციის ნუსხა. (ტურნიკეტები, სავაგონო საწორი და სხვა) შესყიდვებთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ინფორმაცია გთხოვთ მოიძიოთ http://www.railway.ge (ტენდერები) მისამართზე.

# საპარლამენტო უმრავლესობამ განკვეთილი მოსამართლეების მოსმენა არ ისურვა

*ისტორია რომ ზოგჯერ ფარსის სახით მეორდება, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზეც დადასტურდა. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოში კვლავ გაჩაღდა ე.წ "საპროცედურო ომი", რომლის დროსაც ოპოზიცია, შესვენებების გამოცხადების მოთხოვნით, მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურებას ცდილობს. გუშინდელი ფარსის ყველაზე საგულისხმო დეტალი, ალბათ, მაინც ის იყო, რომ მისმა მონაწილეებმა როლები გაცვალეს: შევარდნაძისეული "თემატური უმრავლესობის" მდგომარეობაში ამჯერად მაშინდელი ოპოზიცია (ანუ, დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა) აღმოჩნდა, ოპოზიციურ ბანაკში კი - ძველი უმრავლესობის მოკავშირე ფრაქცია ("ახლები"), პლუს "დემოკრატიული ფრონტი".*

გიორგი ასანიშვილი

გუშინ ოპოზიცია ამაოდ ითხოვდა პარლამენტის სხდომაზე იმ მოსამართლეების მოწვევას და მათთვის სიტყვის მიცემას, ვისაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერდა და განსახილველი საქმეები ჩამოერთვა. დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტი დეპუტატები, თავიანთი მოთხოვნის დასაბუთებისას, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლით აპელირებდნენ, რომლის თანახმადაც, "პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ".

ოპოზიციის მოთხოვნა საპარლამენტო უმრავლესობამ კატეგორიულად უარყო. **"ის მოსამართლეები, ვინც წლების განმავლობაში არღვევდა კანონს და კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობდა, ოპოზიციამ განტევების ვაცად აქცია. მათი მოსმენა პარლამენტის ღირსების ხელყოფაა,"** - მიიჩნევს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე, რომელსაც ოპოზიცია იქვე შეახსენებს, რომ ასეთი განცხადებით ის უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს და თუ იუსტიციის საბჭოს მიერ შერისხული მოსამართლეები მართლა არღვევდნენ კანონს და კორუფციაში მონაწილეობდნენ, მაშინ მათ წინააღმდეგ, როგორც მინიმუმი, სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს აღძრული.

იმის თაობაზე, თუ რატომ არის ოპოზიცია კატეგორიული, თავისი მოსაზრება აქვს უმრავლესობის არაფორმალურ ლიდერს გიგა ბოკერიას. მისი მტკიცებით, ოპოზიციონერი დეპუტატები ქურდული მენტალიტეტის მატარებლები არიან და ამიტომ იცავენ იმ მოსამართლეებს, ვისაც ქურდული სამყაროს წარმომადგენლებისთვის გამამართლებელი განაჩენი გამოაქვთ.

პრობლემის არსს სხვაგვარად ხედავს "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე: **"როგორც ჩანს, ხელისუფლებას სერიოზული კრიზისი დაუდგა, რადგან მოსამართლეების მოსმენისა ეშინია."** მისი თანაფრაქციელი ფიქრია ჩიხრაძე კი, თავის მხრივ, გიგა ბოკერიას მენტალიტეტით ინტერესდება და კითხულობს, ქურდად ხომ არ ზის ის პარლამენტში.

**"ქურდი" ოპოზიციისთვის ვარ, უმრავლესობის წევრებისთვის კი - კოლეგა,"** - ასე "განუმარტა" პირად საუბრებში ოპოზიციას თავისი "ფუნქცია" გიგა ბოკერიამ...

თითქმის ორსაათიანი დებატების ფინალი ტრადიციული გამოდგა: საპარლამენტო უმრავლესობამ, კენჭისყრის გზით, თავისი გაიტანა. მოსამართლეებს, ნინო გვენეტაძეს, მურმან ისაევს, მერაბ ტურავას, თამაზ ილიაშვილს და თამარ ლალიაშვილს ისე ჩამოერთვათ განსახილველი საქმეები და ისე შეუჩერდათ თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელება, რომ საპარლამენტო ტრიბუნაზე დადგომა აუხდენელ ოცნებად დარჩათ.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ "საპროცედურო ომს", იგი იმ საბაბით გაჩაღდა, თითქოს, მერაბ ტურავას სასამართლო პროცესის დასასრულებლად გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. ძნელი სათქმელია, რამდენად საფუძვლიანია ეს ვერსია, მაგრამ ფაქტია, რომ "საპროცედურო ომის" განახლება სწორედ მის გამო მოხდა.

მართალია, უმრავლესობამ თავისი გაიტანა და მეამბოხე თუ კანონდამრღვევ მოსამართლეებს პარლამენტის სხდომათა დარბაზის კარი "ჩაერაზათ", მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობას კარგად ესმის, რომ ამ გადაწყვეტილებას უმრავლესობა თავის აქტივში ნამდვილად ვერ ჩაიწერს. ამიტომაც საყვედურობს ნინო ბურჯანაძე თანაგუნდელებს.

**"კომიტეტის სხდომა რომ მოგეწვიათ, რომელზეც მოსამართლეებს უმწვავეს შეკითხვებზე მოუწევდათ პასუხის გაცემა, ოპოზიციას დღეს ამდენი სალაპარაკო არ ექნებოდა,"** - "საპროცედურო ომის" გაჩაღებაზე პასუხისმგებლობას პარლამენტის სპიკერი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ლევან ბეჟაშვილს აკისრებს.

# არასწორი პრიორიტეტები და ბუნდოვანი ხარჯები

პირველი გვერდიდან

სამაგიეროდ, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტი ამ დღეებში დეტალურად შეისწავლა და საკუთარი დასკვნაც მოამზადა.

თავდაპირველად, 2006 წლის ბიუჯეტის ზოგად პარამეტრებს გაგაცნობთ:

თბილისის ბიუჯეტი სულ 260 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც, მიმდინარე წლის მაჩვენებელთან შედარებით, 162 მილიონ 800 ათასი ლარით ანუ 39 პროცენტით ნაკლებია. ასეთი შემცირება მოგების გადასახადის სახელმწიფო ბიუჯეტში გადატანამ გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური ხელისუფლების ასეთმა გადაწყვეტილებამ მხოლოდ რამდენიმე ქალაქის ბიუჯეტი დააზარალა, და მათ შორის პირველი - თბილისია. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კომპენსაციის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება 60 მილიონი ლარის ოდენობით გამოიყო. თუმცა, როგორც "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ექსპერტი კახა იმერლიშვილი ირწმუნება, თბილისის მთავრობა ამ თანხას საკუთარი შეხედულებისამებრ ვერ დახარჯავს, რადგან მას მიზნობრიობა გააჩნია და ის მთლიანად ქალაქში გზების დაგებისთვისაა განკუთვნილი. **"გზის საფარის შეკეთება და მათი ახლიდან დაგება ნამდვილად მისასალმებელია, თუმცა ეს თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და ამ შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლება უხეშად ერევა მასში,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კახა იმერლიშვილმა.

| დასახელება | 2005 წელი | 2006 წელი | ზრდა წინა წელთან შედარებით | |
|---|---|---|---|---|
| | | | ლარებში | პროცენტებში |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 22 771 | 18 769 | -4 001 | 82 |
| თავდაცვა | 7 632 | 270 | -7 362 | 4 |
| საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება | 26 310 | 4 136 | -22 174 | 16 |
| განათლება | 49 393 | 2 828 | -46 565 | 6 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 19 657 | 5 185 | -14 472 | 26 |
| სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა | 72 900 | 33 522 | -39 378 | 46 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 187 782 | 182 073 | -5 709 | 97 |
| დასვენების ორგანიზაცია და საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში | 21 733 | 17 122 | -4 611 | 79 |
| სულ ხარჯები | 422 805 | 275 558 | -147 247 | 65 |

იმ ფონზე, როცა თბილისში მუდმივად იზრდება სათამაშო-აზარტული დაწესებულებების რიცხვი, მომავალი წლის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან დაგეგმილი შემოსავლების ოდენობა, 2005 წელთან შედარებით, 43 პროცენტით მცირდება, რაც ექსპერტებს შორის გარკვეულ ეჭვებს ბადებს. მით უმეტეს, იმ ფაქტს თუ გავითვალისწინებთ, რომ საგადასახადო კოდექსით, სათამაშო ბიზნესის გადასახადის განაკვეთები არ შემცირებულა. უფრო მეტიც, კოდექსის თანახმად, პირები, რომლებიც ფულს იგებენ, საშემოსავლო გადასახადით უნდა დაიბეგრონ. ანუ აზარტული გათამაშების მომწყობებმა საშემოსავლო გადასახადი მოგების გაცემის მომენტში უნდა დააკავონ. წესით, ამ ცვლილების შედეგად, ქალაქის ბიუჯეტში მისაღები თანხები მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო.

თბილისის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ძირითადი ადგილი საშემოსავლო გადასახადიდან მისაღებ თანხებს უკავია, რომელიც, მიმდინარე წელთან შედარებით, მხოლოდ 780 ათასი ლარით იზრდება. სამაგიეროდ, 23 პროცენტით მცირდება ქონების გადასახადი და ის 27 მილიონი ლარითაა განსაზღვრული.

მთლიანობაში, თბილისის 2006 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, 2005 წელთან შედარებით, 43 პროცენტით მცირდება.

გარკვეულ კითხვებსა და ეჭვებს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც იწვევს. კახა იმერლიშვილი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი სწორედ ამ ნაწილში ძალიან ბევრ არაპრიორიტეტულ და გაუმჭვირვალე მუხლებს მოიცავს. **"ბუნებრივია, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებამ ხარჯვით ნაწილში ავტომატური ცვლილებები გამოიწვია, თუმცა დარჩენილი თანხები პრიორიტეტულობის და რეალური საჭიროებების მიხედვით არაა გაწერილი,"** - ამბობს ექსპერტი. ამის დასტურად მას კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები - 127 მილიონი ლარი მოჰყავს, რაც მთლიანი ხარჯების თითქმის 49 პროცენტს შეადგენს. აქედან, გზის საფარის აღდგენით სამუშაოებზე გამოყოფილია 60 მილიონი ლარი, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 13 მილიონი, ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები - 2.7 მილიონი, ფასადების შეკეთების სამუშაოები - 6 მილიონი, სხვა კეთილმოწყობის ღონისძიებები - 6.3 მილიონი.

მაშინ, როცა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურს თბილისის ბიუჯეტიდან მომავალ წელს მხოლოდ 7 მილიონ 100 ათასი ლარი გამოეყოფა, აქედან 919 ათასი ლარი ხსენებული სამსახურის აპარატის ხარჯებზეა გაწერილი, ხოლო ქალაქის სოციალური პროგრამებისთვის ქალაქის მთავრობა გაისად მხოლოდ 1 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს. საბოლოო ჯამში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მომავალი წლის ბიუჯეტი, წლევანდელთან შედარებით, თითქმის 15 მილიონი ლარით მცირდება.

არავინ დავობს იმაზე, რომ ქალაქში ინფრასტრუქტურა უნდა ვითარდებოდეს და ადგილობრივი მთავრობა ამაზე ზრუნავდეს. მაგრამ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თბილისს ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი გადაუჭრელი სოციალური პრობლემა დაუგროვდა (მიწისძვრით დაზარალებულები, უამრავი ავარიული შენობა და სხვა), აშკარა ხდება - ქალაქის ხელმძღვანელობა აქცენტებს არასწორად აკეთებს და განსაზღვრული პრიორიტეტებიც არაეფექტურია.

# ხურდები ქალაქის მერიას

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ნანამ შესაბამის ინსტანციებს რამდენჯერმე მიმართა, დამაიმედებელი პასუხი არსად მიუღია.

აქციის მონაწილეების განცხადებით, სხვადასხვა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები წინასაარჩევნოდ მათ უამრავ დაპირებას აძლევდნენ, თუმცა, მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები დღემდე არ გაუმჯობესებულა.

**"ნუთუ არ გრცხვენიათ, რომ თქვენი ძაღლები უკეთეს პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენ. ჩვენ გვშურს თქვენი ძაღლების,"** - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

აქციაზე შეკრებილთა თქმით, ჯიქიას ქუჩაზე მიწისძვრით დაზარალებულებისთვის გამოყოფილია კორპუსები, თუმცა მთავრობა ამ ფაქტს მალავს.

მერიასთან გამართულ აქციას დაახლოებით 50 ადამიანი ესწრებოდა. ვინაიდან აქციის მონაწილეებთან შესახვედრად მერიიდან არავინ გამოსულა, მიწისძვრით დაზარალებულებმა მერიის შენობის მიმართულებით, მოწყალების გაღების სახით, ხურდა ფული გადაყარეს და კანცელარიასთან გადაინაცვლეს.

როგორც თბილისის პრემიერი თემურ ქურხული აცხადებს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ხუთმილიონნახევარზე მეტი ლარი გარეუბნებში მაღალსართულიანი ავარიული ბინების შეკეთებას მოხმარდება. **"რაც შეეხება ქალაქის ცენტრს, აქ ავარიული ბინების უმრავლესობა ბარაკული ტიპისაა. მათ შეკეთებას ასეულობით მილიონი ლარი სჭირდება. ამიტომ, ამ ადგილებში ინვესტორები უნდა მოვიზიდოთ,"** - აღნიშნა ქურხულმა.

# რას მოასწავებს გენერალ თათუხაშვილის დაბრუნება?

პირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, მათ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც გენერლებისაგან თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა საკმაოდ უხეში ფორმით მოითხოვა გადადგომა.

თუ როგორ ვითარებაში მოუხდა განცხადების დაწერა გენერალ ქუთათელაძეს, უცნობია. რაც ყველაზე საინტერესოა, დღემდე სამხედრო უწყება არც უარყოფს და არც ადასტურებს ინფორმაციას გენერალ თათუხაშვილის ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშვნის თაობაზე. ერთადერთი ოფიციალური პირი, ვინც ეს დაადასტურა, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეა. **"მე ვფიქრობ, გოგი თათუხაშვილი არის ღირსეული ოფიცერი, რომელმაც ეს ძალიან ბევრჯერ დაამტკიცა ჩვენი უახლესი ისტორიის განმავლობაში და, ამდენად, ის კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს გვარდიას,"** - განაცხადა გივი თარგამაძემ.

მაგრამ გიორგი თათუხაშვილის დანიშვნა გვარდიის სარდლად ასევე გააძლიერებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოზიციას სამხედრო უწყებაში და გარკვეულად შეზღუდავს ირაკლი ოქრუაშვილის განუსაზღვრელ ძალაუფლებას, რომელიც ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად იჭრება ისეთ სფეროებში, რომელიც ან შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაა, ან კიდევ კონფლიქტის მოგვარების საკითხში სახელმწიფო მინისტრისა. საკმარისია გავიხსენოთ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის 4 დეკემბრის რეიდი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში და არცევის პოლიციის უფროსის მოადგილის ვიაჩესლავ გუდიევის დაპატიმრება. ანდა მისი ბოლოდროინდელი სატელევიზიო გამოსვლები, რომლებიც არ ეთანხმება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრეზიდენტისეულ გეგმას.

ღირს გავიხსენოთ, რომ ეროვნული გვარდიის ახალი სარდალი "ვარდების რევოლუციამდე" პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსი იყო, რევოლუციის შემდეგ კი - შინაგანი ჯარების სარდალი. გენერალ თათუხაშვილს, შინაგანი ჯარების თავდაცვის სამინიტროში გაერთიანების შემდეგ, ბევრი უწინასწარმეტყველებდა სახმელეთო ჯარების სარდლობას, მაგრამ ეს დანიშვნა ერთი წლის წინ თუ ვერ განხორციელდა, ეს თავად თათუხაშვილის ბრალია, რომელმაც სახმელეთო ჯარების ისეთი პროექტი შესთავაზა სამხედრო კოლეგიას, რომ, პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სულ მალე თავდაცვის სამინისტრო გადაიქცეოდა სახმელეთო ჯარების სახეობად და არა პირიქით.

სამხედრო კოლეგიასთან ურთიერთობა რომ არ გაეფუჭებინა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გენერალი თათუხაშვილი ამის შემდეგ მე-4 ბრიგადის მეთაურად დაინიშნა, რაც თათუხაშვილისათვის აშკარად დაქვეითებას ნიშნავდა. შეიძლება ამის გამო იყო, ან შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ გენერალს ხანგრძლივი ვადით მოუხდა საზღვარგარეთ მკურნალობა, თათუხაშვილი პირდაპირ ველარ მონაწილეობდა ბრიგადის მართვაში. არსებობს ვარაუდი, რომ მებრძოლი გენერალი თათუხაშვილი ვერ შეეწყო გენერალური შტაბის უფროსს ლევან ნიკოლეიშვილს და აკრიტიკებდა სამხედრო სისტემიდან პროფესიონალების გაძევების ტენდენციას. შესაბამისად, ვალში არც ნიკოლეიშვილი დარჩა. თვენახევრის წინ სამხედრო პოლიციამ მე-4 ბრიგადის ზურგის რამდენიმე ოფიცერი სურსათის მითვისების გამო დააკავა, შემდეგ კი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბრიგადის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი ვიცე-პოლკოვნიკი გიგიაძე. ამას სულ რამდენიმე დღეში მოჰყვა მასობრივი ცემა-ტყეპა სამხედრო მოსამსახურეებს შორის, რის გამოც 12 ჯარისკაცი და ოფიცერი ჰოსპიტალიზებული აღმოჩნდა. საინფორმაციო გამოშვებებში გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ სამხედრო ნაწილში დისციპლინის ჩავარდნის გამო დადგებოდა გენერალ თათუხაშვილის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, თათუხაშვილმა იგრძნო მოსალოდნელი საფრთხე და ცემა-ტყეპამდე 4 დღით ადრე სამხედრო ნაწილის მეთაურობიდან გადაგომის შესახებ განცხადება დაწერა. ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელიც გენერლის "კარჩაკეტილობით" აშკარად იყო განრისხებული, უმალვე დაამაყოფილა ეს განცხადება.

მაგრამ გენერალ თათუხაშვილის "ჩრდილში" ყოფნა მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ძალიან მალე გაიხსენა ერთგული გენერალი და მას ეროვნული გვარდიის სარდლობა ახალი წლის წინ ჩააბარა, რითაც თავისებური საჩუქარი მოუმზადა ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც თავდაცვის მინისტრად ასევე ახალი წლის წინ, შარშან დეკემბერში დაინიშნა.

## მოკლედ

### გზის ზოგიერთ მონაკვეთზე მოძრაობა შეზღუდული რჩება

უამინდობისა და დიდთოვლობის გამო, საქართველოს საავტომობილო გზების ზოგიერთ მონაკვეთზე მოძრაობა კვლავ შეზღუდული რჩება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის კოჯორი-მანგლისის 30-60 კილომეტრში და მანგლისი-წალკის 60-81 კილომეტრში ყველა სახის ავტოტრანსპორტისათვის მოძრაობა აკრძალულია. ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 40-50 კილომეტრში (ნაქერალას უღელტეხილზე) ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.

ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის 32-60 კმ-ში, ჩარგალი-ბარისახოს მონაკვეთზე, ტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია ცალმხრივად, ჯაჭვების გამოყენებით. ამავე გზის 0-32 კმ-ში კი მოძრაობა თავისუფალია. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის გოდერძის უღელტეხილზე მოძრაობა აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტისთვის. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო მოძრაობა ყველა სახის ტრანსპორტისათვის კვლავ დაკეტილია. ხოლო მლეთა-გუდაურის, კობი-ყაზბეგის და ყაზბეგი-ლარსის მონაკვეთებზე აკრძალვა მხოლოდ მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ავტობუსებისათვის ვრცელდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### კონტროლის პალატის საქმიანობას კომისია შეისწავლის

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობას პარლამენტის სპეციალური კომისია შეისწავლის. 162 ხმით ერთის წინააღმდეგ საკანონმდებლო ორგანომ გუშინ კომისიის შემადგენლობა დაამტკიცა. კომისიის შემადგენლობაში არიან დეპუტატები შოთა გვენეტაძე, ელდარ კვერნაძე, თენგიზ გონგაძე, ზაზა მალანია, ზურაბ ტყემალაძე, ბადრი ხატიძე, რევაზ ფირაშვილი და ბიძინა გუჯაბიძე. კომისიას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ბუცხრიკიძე უხელმძღვანელებს. საპარლამენტო კომისია კონტროლის პალატის 2005 წლის საქმიანობას შეისწავლის.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### დამტკიცდნენ კომიტეტების თავმჯდომარეები

პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე, 156 ხმით ერთის წინააღმდეგ, პარლამენტმა დეპუტატი ედვარდ სურმანიძე დაამტკიცა. კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა მას შემდეგ გათავისუფლდა, რაც ყოფილი ხელმძღვანელი გია ხევიაშვილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დაინიშნა. თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე კი ედვარდ სურმანიძის ნაცვლად პარლამენტმა 153 ხმით ერთხმად ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი პავლე კუბლაშვილი დაამტკიცა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი განათლების სამინისტრო გამოსცემს დებულებას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო გრანტი იმ სტუდენტებზე გაიცემა, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას უნარ-ჩვევებში, მაშინ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი მოამზადებს წერილს იმ მოთხოვნით, რომ სამინისტროს ინიციატივა არ შესრულდეს. განათლების კომიტეტის სხდომაზე ნოდარ გრიგალაშვილმა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძეს სთხოვა, რომ სამინისტრომ თავისი გადაწყვეტილება სახელმწიფო გრანტის გაცემის თაობაზე პარლამენტს ან მთავრობას შეუთანხმოს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰუმანიტარული თანამშრომლობისა და ადამიანთა უფლებების დეპარტამენტის დირექტორმა ვლადიმირ პარშიკოვმა საგანგაში სიგნალად შეაფასა ის ფაქტი, რომ გაეროს წევრმა რამდენიმე ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა რასიზმის წინააღმდეგ რუსეთის ინიციატივას. ამ დოკუმენტის წინააღმდეგ ხმა მისცეს აშშ-მ და იაპონიამ, ხოლო უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს. "რუსეთს არ შეუძლია არ აღშფოთდეს იმის თაობაზე, რომ ევროკავშირში ძალიან ხშირად მიმდინარეობს რასიზმის მხარდამჭერი ღონისძიებები. ჩემთვის გაუგებარია, რატომ შეიკავეს თავი ევროკავშირის სახელმწიფოებმა ამ რეზოლუციის მხარდაჭერისგან. გარდა ამისა, ეს სახელმწიფოები თვალს ხუჭავენ ნაცისტური ხასიათის საჯარო გამოსვლების შეფასებაზე. სწორედ ამ ქვეყნებში გამოვლენილი მსგავსი ხასიათის ღონისძიებები დაუსჯელი რჩება".

**ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია დედაქალაქის მთავრობისგან "კუთვნილი ქონების დაბრუნებას" მოითხოვს. ამ მოთხოვნით, გუშინ "დიდი ეროვნული გაერთიანების" წარმომადგენლებმა მერიის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ აქციაზე განაცხადა, იგი კატეგორიულად ითხოვს, ქალაქის მთავრობამ დაუბრუნოს ქონება, რომელიც "კოლხურ კოშკში იყო და დღეისთვის განადგურებულია". "არ შეიძლება, პირველი პრეზიდენტის მეუღლე 15 წლის განმავლობაში უსახლკაროდ ცხოვრობდეს. კოლხური კოშკი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, იავარქმნილია," - განაცხადა არჩვაძე-გამსახურდიამ.

**ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# რუსეთი ბელორუსის ოფიციალურად შემოერთებას აყოვნებს

რუსეთ-ბელორუსის გაერთიანების შესახებ რეფერენდუმი, შესაძლოა, 2006 წელსაც არ გაიმართოს. როგორც რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა, ალექსანდრ ვეშნიაკოვმა განაცხადა, კონსტიტუციური აქტის შესახებ რეფერენდუმის გამართვა, რომელიც რუსეთ-ბელორუსის ერთიან სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს, უახლოეს მომავალში ნაკლებ სავარაუდოა.



მისივე თქმით, კონსტიტუციური აქტის პროექტი თავდაპირველად უნდა განიხილოს სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ.

აღნიშნული უმაღლესი საბჭოს შექმნა ჯერ კიდევ ნოემბერში იგეგმებოდა, შემდეგ დეკემბრისთვის დაინიშნა. ამჟამად, არსებობს ინფორმაცია, რომ საბჭოს შეკრება, შესაძლოა, 2006 წლის იანვრისთვის გადაიდოს.

ალექსანდრ ვეშნიაკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეფერენდუმის გამართვას შესაძლოა, სხვადასხვა ღონისძიებებმაც შეუშალოს ხელი. მათ შორის, 2006 წლის 19 მარტისთვის დანიშნულია ბელორუსის საპრეზიდენტო არჩევნები.

**"რეფერენდუმის გამართვა საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად წარმოუდგენელია,"** - განაცხადა ვეშნიაკოვმა. მისივე თქმით, 2007 წელს რუსეთის სახელმწიფო დუმის არჩევნებია დაგეგმილი, ხოლო 2008 წელს რუსეთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები.

ასე რომ, თუ რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის ლოგიაკს გავყვებით, ამ თარიღების გათავლისწინებით, უახლოესი 3 წლის განმავლობაში, ალბათ, რუსეთ-ბელორუსის ერთიანი სახელმწიფო ვერ შედგება.

**ჯი ეიჩ ენი**

# ხელშეკრულების რევიზია სიკვდილის ტოლფასია

**პირველი გვერდიდან**

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის საკითხზე რუსეთ-უკრაინის შეთანხმების გადახედვა დაუშვებელია. ამის შესახებ გუშინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მოსკოვის ოლქში მდებარე ქალაქ ნარო-ფომინსკში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, ხელშეკრულების რევიზია სიკვდილის ტოლფასია.

როგორც ივანოვმა აღნიშნა, შავი ზღვის ფლოტის არენდის საფასური, რომელსაც რუსეთი უკრაინას უხდის, დაფიქსირებულია შეთანხმებაში, რომელიც რუსეთ-უკრაინის დიდი ხელშეკრულების ნაწილია. ამ ხელშეკრულების მეორე ნაწილი სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობას განსაზღვრავს.

ამგვარად, რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ მოსკოვმა შესაძლოა, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის და მისი საზღვრების მიმართ თავის პოზიციას გადახედოს, თუ უკრაინა ყირიმში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფნის პირობებს გადასინჯავს. მარტივად რომ ვთქვათ, ივანოვი უკრაინას ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებით დაემუქრა.

შეგახსენებთ, ბოლო ხანებში კიევში კეთდება განცხადებები, რომ რუსული გაზის გაძვირების საპასუხოდ უკრაინამ რუსეთის ფლოტს შეიძლება საიჯარო გადასახადი გაუზარდოს.

კონკრეტულად რა ტერიტორიული პრეტენზიები შეიძლება ჰქონდეს რუსეთს უკრაინასთან, სერგეი ივანოვს არ დაუზუსტებია. თუმცა, ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ ყირიმის ნახევარკუნძული ისტორიულად რუსეთის ნაწილია. მათივე მტკიცებით, საბჭოთა პერიოდში სევასტოპოლი, ფაქტობრივად, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი იყო და ამიტომ რუსეთს ის ყირიმთან ერთად უკრაინისთვის არ გადაუცია.

ივანოვის მკაცრ განცხადებას უმალვე გამოეხმაურა უკრაინული მხარე. როგორც უკრაინის თავდაცვის მინისტრმა სააგენტო "ინტერფაქსს" განუცხადა, კიევი არ აპირებს ცალმხრივად შეცვალოს უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყოფნის პირობები. **"თუ შეთანხმებათა შესრულებისას რაიმე პრობლემა წარმოიშვება, მათი გადაწყვეტა აუცილებელია ორმხრივ დონეზე - წყნარად, იურისტების, სახელმწიფოთა წარმომადგენლების ჩართვის მეშვეობით. ვფიქრობ, სწორედ ასეთი გზით გადაწყვეტას ექვემდებარება არსებული კონფლიქტური საკითხები. უკრაინის მხრიდან რაიმე ცალმხრივ ქმედებას ადგილი არ ექნება. ეს, უბრალოდ, გამორიცხულია,"** - განაცხადა გრიცენკომ.

როგორც ჩანს, კიევი მეტისმეტად შეაშფოთა ივანოვის განცხადებამ, მით უმეტეს, რომ ყირიმის ნახევარკუნძულზე პრორუსული განწყობა დომინირებს...

**მოკლედ**

## დსთ კრიზისშია, თუმცა, არ ინგრევა

რუსეთის პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსეი მაკარკინი აცხადებს, რომ დსთ, როგორც საბჭოთა კავშირის ალტერნატიული გაერთიანება, არ შედგა, რადგან საბჭოთა კავშირის რესტავრაცია თავიდანვე უტოპიური იდეა იყო.

**"დსთ ინტერესთა შეთანხმების არეალად გადაიქცა, რომლის არსებობამ ხელი შეუწყო დავების კომპრომისულად მოგვარებას, კონფლიქტების ჩაქრობას. დსთ-მ ხელი შეუწყო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის ახალი სისტემის ფორმირებას, რომლის ლიდერად რუსეთი იქცა. მასში ისეთი სტრუქტურები შეიქმნა, როგორიცაა კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაცია და ერთიანი ეკონომიკური სივრცე, რაც ევროპული ინტეგრაციის ანალოგია. ევროპული ინტეგრაცია სწორედ თავდაცვისა და ეკონომიკის ორგანიზაციების ფორმირებით დაიწყო და ევროკავშირის შექმნაში გადაიზარდა,"** - აცხადებს ალექსეი მაკარკინი.

მისივე თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, დსთ-მ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის გაერთიანება ვერ შეძლო, რადგან ის, რაც მისაღებია, მაგალითად, ტაჯიკეთისთვის და თურქმენეთისთვის, მიუღებელია უკრაინისთვის და საქართველოსთვის.

**"საბჭოთა ინტერნაციონალიზმი მოკვდა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის რუსეთთან დაახლოება თანაბრად მიმზიდველი არ არის. მითუმეტეს ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ვესტერნიზებული ელიტა, რომლის ხედვაც მიმართულია დასავლეთისკენ. ძირითადად ესენი მემარჯვენე ცენტრისტული ძალები არიან, თუმცა, პარადოქსია, მაგრამ მოლდოვაში ასეთ პროდასავლურ ძალად კომუნისტები იქცნენ. მათი მიზანია, თავიანთი სახელმწიფოები ევროპაში გააერთიანონ და ამ გზაზე რუსეთს მხოლოდ დაბრკოლებად აღიქვამენ,"** - აცხადებს ალექსეი მაკარკინი.

მისი თქმით, სწორედ დასავლეთის დახმარებით პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩნდა ე.წ. "ფერადი რევოლუციების" ფენომენი, რომელმაც დსთ-ს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

**"ამდენად, დსთ კრიზისშია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დაინგრევა. რუსეთს და დასავლეთს არ სურთ, უარი თქვან თანამეგობრობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციაზე. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველო არაერთხელ დაიმუქრა დსთ-დან გასვლით, მაგრამ დღემდე თანამეგობრობის წევრად რჩება,"** - აცხადებს რუსი პოლიტოლოგი.

**მედიანიუსი**

## დაზღვევის ახალი სახეობა დიდ ბრიტანეთში

როგორც ლონდონური ყოველდღიური, პოპულარული გაზეთი "მეტრო" იუწყება, დიდ ბრიტანეთში დაზღვევის ახალი სერვისი შეიმუშავეს, კერძოდ, მსურველებს, ჯანმრთელობისა და უძრავ-მოძრავი ქონების დაზღვევის გარდა, დღეიდან ტერორიზმის შედეგებისაგან დაზღვევაც შეეძლებათ.

ცნობილი ტურისტული კომპანიის "InsureandGo"-ს ახალი სერვისი იმ ხარჯების დაფარვას მოიცავს, რომელიც ტერორიზმის შედეგებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. მომსახურების პაკეტში ჩართულია სამედიცინო ხარჯები, პირადი ნივთების დაკარგვის შემთხვევაში მათი ღირებულების კომპენსაცია და ტრანსპორტთან დაკავშირებული ხარჯები.

როგორც გაზეთი წერს, ასეთი იდეა მიმდინარე წელს ლონდონში, ეგვიპტესა და ბალიზე განხორციელებული ტერაქტების შედეგად გაჩნდა. ტერაქტების შემდეგ ხომ განსაკუთრებული ზეწოლა, სწორედ, სადაზღვევო კომპანიებზე განხორციელდა, რომლებსაც ასეთი შემთხვევები გათვალისწინებული არ ჰქონდათ. პოპულარულ ეგვიპტურ კურორტზე, შარმ-ელ-შეიხში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ბევრი ბრიტანელი ტურისტი დაზარალებული აღმოჩნდა თავად სადაზღვევო კომპანიის მხრიდან, რომლებმაც არ აუნაზღაურეს მათ გაწეული ხარჯები.

**"სამწუხაროდ, ტერორიზმი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილი გახდა. ზოგიერთი სადაზღვევო კომპანია ტერაქტების სავარაუდო შემთხვევის დაზღვევას ერიდება, ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ასეთი მომსახურების ჩართვაც,"** - აღნიშნავენ გავლენიან სადაზღვევო კომპანია "InsureandGo "-ში.

დაბოლოს, ბრიტანული გაზეთი "მეტრო" იმასაც წერს, რომ ზემოაღნიშნული კომპანია მართალია ნოვატორია, მაგრამ მიმდევრები მასაც გამოუჩნდებიან, რადგან ბრიტანულ სადაზღვევო კომპანიებში ამ იდეაზე სერიოზულად დაფიქრდნენ.



მოკლედ

## ვლადიმერ არუთინიანმა პირი ამოიკერა

საქართველოსა და ამერიკის პრეზიდენტების წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის მცდელობისა და პოლიციელის მკვლელობისთვის ბრალდებულის ვლადიმერ არუთინიანის სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. პროკურატურამ მისთვის წარდგენილი ათივე ბრალდება დადასტურებულად ცნო და სახელმწიფო ბრალმდებელმა განსასჯელისთვის სამუდამო პატიმრობა მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ არუთინიანისთვის წაყენებული ბრალდებებიდან ოთხი - სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებდა.

ვლადიმერ არუთინიანი გუშინდელ სასამართლო პროცესზე ბადრაგმა პირამოკერილი მიიყვანა. ამ გადაწყვეტილების მიზეზები განსასჯელმა წერილობით, რამდენიმე პუნქტად წარუდგინა სასამართლოს. განსასჯელის წერილობითი განმარტებით, პროტესტის ამ ფორმით ის მოშიმშილე პატიმრებს სოლიდარობას უცხადებს და ციხეში არსებულ მდგომარეობას აპროტესტებს.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე ვლადიმერ არუთინიანმა მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების გარანტია და იმ ნივთების დაბრუნება მოითხოვა, რომლებიც სამართალდამცველებმა ვაშლიჯვარში, მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს.

გუშინვე, დაცვის მხარის მოთხოვნით, ის ექიმი დაკითხეს, ვინც სპეცოპერაციის დროს დაჭრილ არუთინიანს ოპერაცია გაუკეთა. მართლმსაჯულებას ჩვენება მისცა, ასევე, იმ ადვოკატმა, რომელიც არუთინიანის ინტერესებს ერთი თვის განმავლობაში იცავდა. მომდევნო სასამართლო პროცესზე საკუთარ პოზიციას დაცვის მხარე დააფიქსირებს.

**24 საათი**

## მიკროავტობუსზე თავდასხმის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ორი დაიჭრა

გალის რაიონის სოფელ გაგიდაში მიკროავტობუსზე ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და ორი დაიჭრა. დაღუპულია აფხაზური მილიციის თანამშრომელი ვინმე სიჭინავა, რომელიც გალის რაიონის სოფელ გაგიდადან ოტობაიას მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსში ქართველი ეროვნების მგზავრებთან ერთად იჯდა. სოფელ გაგიდადან გასვლის შემდეგ მიკროავტობუსს დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. როგორც მგზავრები იხსენებენ, ავტომატებითა და ნიღბებით აღჭურვილი თავდამსხმელები ექვსნი იყვნენ. მათ მიკროავტობუსის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. მიკროავტობუსში მყოფმა აფხაზური მილიციის თანამშრომლებმა ყაჩაღებს საპასუხო ცეცხლი გუხსნეს. ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა აფხაზური მილიციის თანამშრომელი სიჭინავა, ხოლო ქართველი ეროვნების ორი მგზავრი - 34 წლის მაკა კოკელია და 10 წლის ბექა ჯიჯოლია დაიჭრნენ.

მაკა კოკელიას ტყვია თავის არეში აქვს მოხვედრილი. ბექა ჯინჯოლიას მდგომარეობა შედარებით მძიმეა - მას ტყვია ფეხში აქვს მოხვედრილი და დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა.

ორივე დაზარალებული ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაციები ჩაუტარდათ.

**ინტერპრესნიუსი**

**ტენდერი სამედიცინო, კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შესასყიდად ჯანდაცვის ფინანსური სისტემის რეფორმის დახმარების პროექტისათვის**

EuropeAid/122546/L/S/GE

TACIS-ის პროგრამის ფინანსური დახმარების ფარგლებში ევროკომისიას დაგეგმილი აქვს კონტრაქტის გაფორმება სამედიცინო, კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შესასყიდად. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში.

ნინო ჩხეიძის ქ. N 38, თბილისი 0102 (სამუშაო საათები ადგილობრივი დროით 9:00-17:00 სთ., ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით)

ელ.ფოსტის მისამართი: Delegation-Georgia@cec.eu.int

სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა, 2005 წლის 31 იანვარი, 10:00 სთ თბილისის დროით.

## განცხადება

სსიპ-შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

ორტესებრი კოჭები - 24,9 ტონა, საწყისი ფასი 2940 ლარი; საღებავი სხვადასხვა - 7,8 ტონა და კალცინირებული სოდა - 35,0 ტონა. საწყისი ფასი 5058 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ბე" მატერიალური ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 27 იანვარს, დღის 2 საათზე, დეპარტამენტის შენობაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, აგლაძის 32, II სართული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 34-65-98, 35-67-23.

განცხადებები მიიღება 2006 წლის 26 იანვრის დღის 4 საათამდე.

*სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი*

გაზეთ 24 საათის N1148 (288)-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში საკონკურსო ვაჭრობაზე, რომელსაც აქვეყნებდა "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი " გაიპარა უზუსტობა. აბზაცი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: **საკონკურსო წინადადება ძალაში რჩება კონკურსის გახსნიდან 90 დღის განმავლობაში. საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს 91 000 (ოთხმოცდათერთმეტი ათასი) ლარის ოდენობის ან კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის ოდენობის საკონკურსო წინადადების გარანტია და მიტანილ უნდა იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის ტექნიკური ერთეულის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 17 იანვრის 11 საათამდე, როდესაც მოხდება საკონკურსო წინადადებების გახსნა კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც დასწრებას მოისურვებენ. დაგვიანებული წინადადებები არ მიიღება.**

## განცხადება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტთან არსებული მიწის მართვის და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს "რიყის"ტერიტორიაზე 43 000 კვ/მ მიწის ფართობის განკარგვაზე, საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საკონკურსო პირობების გასაცნობად მიმართეთ მიწის მართვის და განკარგვის კომისიის საკონტაქტო ჯგუფს:

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - 96 91 21

**ბეჟაშვილი მარიკა - 877 74 49 75**

**შარაშენიძე ილია - 899 33 22 11**

# დასჭილი მოსამართლეები გაქცევას არ აპირებენ

*საქართველოს პარლამენტი არ ჩამორჩა იუსტიციის საბჭოს და გუშინ უფლებამოსილება შეუწყვიტა უზენაესი სასამართლოს ხუთ მოსამართლეს.*

"მეამბოხე მოსამართლეები" - ასე უწოდა ქართულმა მედიამ იმ რამდენიმე მოსამართლეს, რომლებმაც, ბოლოს და ბოლოს, გაბედეს და ხმა აღიმაღლეს ხელისუფლების მხრიდან მართლმსაჯულებაზე ზეწოლის გამო. ახლა ეს მოსამართლეები თავს პოლიტიკურ დევნილებად და რეპრესიების მსხვერპლად მიიჩნევენ და უცხო ქვეყნებისგან პოლიტიკურ თავშესაფარს, მართალია - სიმბოლურად, მაგრამ მაინც მოითხოვენ.

გუშინ "ამერიკის იურისტთა ასოციაციის" ოფისში გამართულ პრესკონფერეციაზე, რომელსაც სწორედ ეს მეამბოხე მოსამართლეები: ნინო გვენეტაძე, დავით სულაქველიძე, მურმან ისაევი და სხვები ესწრებოდნენ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ მერაბ ტურავამ განაცხადა, რომ მათი მხრიდან პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საქართველოდან გაქცევას აპირებენ - მოსამართლეებს მხოლოდ და მხოლოდ სურთ, მსოფლიოს დაანახონ, რა ხდება საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში.

ტურავას განცხადებით, იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კოლეგიამ სრული იგნორირება გაუკეთა პროცესუალურ ნორმებს და კანონს, რადგანაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოიძებნება პრეცედენტი იმისა, როცა არა მოსამართლის, არამედ ყველაზე საშიში კრიმინალის გასამართლება არასამუშაო დღეს ხდება, თანაც - ღამის 03.00 საათზე და არაადამიანურ პირობებში.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე მერაბ ტურავამ ის ადამიანები დაასახელა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მოსამართლეების წინააღმდეგ გადაწყვეტილების გამოტანაში. მათ შორის არიან იუსტიციის საბჭოს წევრი კახა ყიფიანი, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მარინა ფარცვანია და ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე დავით სვანიძე.

მერაბ ტურავას განცხადებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მთლიანად ასრულებდა სამი პოლიტიკოსის - ნიკა გვარამიას, გიგა ბოკერიას და ნინო კალანდაძის მითითებებს. ტურავას განმარტებით, ეს არის სამეული, რომელმაც მოსამართლეების წინააღმდეგ უკანონო გადაწყვეტილება გამოიტანა.

**"ჩვენ, მოსამართლეებს, ეჭვი შეგვაქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა კომპეტენციაში. მათგან ერთ-ერთი - პარლამენტარი ნინო კალანდაძე არაკვალიფიციურია. მას იურისტის დიპლომიც კი არ აქვს. კალანდაძეს თსუ-ს იურდიული ფაკულტეტის ყალბი დიპლომი აქვს და მას გერმანიაში არ დაუმთავრებია იურიდიული ფაკულტეტი. იგი გერმანიაში მუშაობდა ღამის კლუბებსა და რესტორნებში. მოვითხოვ, შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია და თუ ეს სიცრუეა, პასუხს ვაგებ ერის წინაშე"**, - განაცხადა ტურავამ.



მოსამართლეები იუსტიციის საბჭოს კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრებას უახლოეს ხანში გეგმავენ.

მოსამართლეების ერთ-ერთი ადვოკატის ლია მუხაშავრიას თქმით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ადვოკატების 18 შუამდგომლობიდან არც ერთი არ დააკმაყოფილა.

მოსამართლეები და მათი ადვოკატები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრებას უახლოეს ხანში გეგმავენ.

როგორც ცნობილია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს ხუთი მოსამართლე თანამდებობიდან გათავისუფლდა; ასევე, შენიშვნა გამოუცხადეს დავით სულაქველიძეს. გარდა ამისა, საოლქო სასამართლოს 13-მა მოსამართლემ საყვედური მიიღო.

**24 საათი**

# ციხის ბუნტი გრძელდება

პირველი გვერდიდან

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე სიტუაციის შესასწავლად ქუთაისის ციხეში გაემგზავრება.

მისი თქმით, კომიტეტში შემოდის უამრავი ინფორმაცია კოლონიებში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

ელენე თევდორაძე მოუწოდებს ყველა პატიმარს, საკუთარ თავზე მაინც იფიქრონ, თუკი ქვეყანაზე არ ფიქრობენ. ელენე თევდორაძე მოუწოდებს პატიმრებს, ნუ ჩაიდენენ უკანონობას და დაემორჩილონ საპატიმროს ადმინისტრაციას. მისი განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმა დაიწყო, ააშენა ახალი ციხეები და მოხდა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ - პატიმრებმა უარი განაცხადეს უკეთეს პირობებში ცხოვრებაზე, რაც თევდორაძისთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მონიტორინგის საბჭოს თავმჯდომარე თეა თუთბერიძე კი პროკურატურას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის შოთა კოპაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სთხოვს. იგი დარწმუნებულია, რომ კოპაძე, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ციხეებში მიმდინარე არეულობებთან.

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი თეა თუთბერიძე გენერალურ პროკურატურას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის შოთა კოპაძის მაკომპრომეტირებელ მასალებს გადასცემს.

საპატიმროში მიმდინარე მოვლენებს პარლამენტის სხდომაზეც მოჰყვა გამოხმაურება. უმრავლესობის ლიდერის გიგა ბოკერიას განცხადებით, ხელისუფლება ყველა კანონიერ მეთოდს გამოიყენებს, საპატიმროებში წესრიგისა და კანონის დასამყარებლად. მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა კოკა გუნცაძემ კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელს შეადარა. "ახალაიას სატელევიზიო განცხადებები ცინიზმით იყო სავსე", - განაცხადა გუნცაძემ. მან მოუწოდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს, ჩაერიოს ციხეებში მიმდინარე პროცესში, რათა დაცული იყოს პატიმრების სიცოცხლის უფლება. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებულები გავხდებით, მივმართოთ ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ვაცნობოთ ციხეებში არსებული ვითარება",** - განაცხადა გუნცაძემ.

**24 საათი**

## შპს "საქართველოს რკინიგზა"

მის ბალანსზე რიცხული თბომავლების რეალიზაციის მიზნით აცხადებს კონკურსს

ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:

6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალი № 2035 გამოშვების წელი - 1984; № 2036 გამოშვების წელი - 1984; № 2316 გამოშვების წელი - 1985; № 2461 გამოშვების წელი - 1985; № 2975 გამოშვების წელი - 1987; № 0835 გამოშვების წელი - 1983; სარეალიზაციო ქონება მდებარეობს ქ. ხაშურში, შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "ხაშურის სალოკომოტივო დეპოს" ტერიტორიაზე.

საკონკურსო პირობები:

1. ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი 1900000 (ერთი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარი (დღგ-ს გარეშე). ბეს თანხა 905000 (ცხრაას ხუთი ათასი) ლარი.
2. თბომავლების გატანას შპს "საქართველოს რკინიგზის" ტერიტორიიდან უზრუნველყოფს მყიდველი საკუთარი ხარჯებით.
3. მყიდველი უზრუნველყოფს თბომავლების აღდგენას და გამოყენებას დანიშნულებისამებრ.
4. მყიდველი ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზას" მოემსახუროს შეღავათიან ფასებში.
5. მყიდველი ვალდებულია თბომავლების გაყიდვის შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს საკონკურსო პირობების მე-3 და მე-4 პუნქტები.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას "მონაწილეზე".
- შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე (ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი № 202886010) "ბეს" და "მონაწილის ბილეთის" ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.
- იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ წიგნში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი სარეალიზაციო ფასისა) შემოთავაზება.

თანხის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა № 3407003205 ბანკის კოდი № 220101757 საიდენტიფიკაციო კოდი № 202886010.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 27 იანვარს 12 საათზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 სთ-დან 17 სთ-მდე ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა. ტელ. 565318.

კონკურსის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 5 დღის განმავლობაში. კონკურსის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში ქონების გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში "მყიდველს" "ბე" არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს "ბეს" სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის დროს.

მონაწილეს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას.

"მონაწილეს" "ბეს" დაუკავებლად უფლება აქვს მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი კონკურსში მონაწილეობაზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შპს "საქართველოს რკინიგზაში"
ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი №15, IV სართულზე.
ტ, 56-53-18, 56-53-19, 56-33-48.




- თითოეული მუხლის კომენტარი
- ციტატები მომიჯნავე კანონებიდან
- ხარვეზები და წინააღმდეგობები
- ლაბირინთები და ხაფანგები
- პრაქტიკული მაგალითები და რჩევები

მეწარმის სამაგიდო წიგნი

მომზადდა და გამოიცა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში, ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კომენტარების შესაძენად მიაკითხეთ სასალო ქსელს ან ფედერაციას: წერეთლის 61, ტელ. 35 01 57; 35 43 97; 35 67 56.

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




## + საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99

ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ბორჯომის რაიონის, დაბა ახალდაბის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ბორჯომის რაიონის ახალდაბის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ახალდაბის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ბორჯომის რაიონი, ახალდაბის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი: თემურ იანვარაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **30** დეკემბრიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ბორჯომის რაიონი, ახალდაბის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი: თემურ იანვარაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 30 იანვრის 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## პროექტი: "სომხური ენის სწავლების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში"

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** აცხადებს კონკურსს

**არაქართულენოვან სკოლებში სომხური ენის სასწავლო გეგმის ექსპერტების 2 ვაკანსიაზე და მთავარი კონსულტანტის 1 ვაკანსიაზე**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს "სომხური ენის სწავლების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში". პროექტის ფარგლებში იგეგმება სასწავლო გეგმების შედგენა სომხურის, როგორც მშობლიური ენისათვის და 1 მეთოდური სახელმძღვანელოს შექმნა. კურიკულუმის შესაქმნელად შერჩეული იქნება 2 ექსპერტი და ერთი კონსულტანტი, რომელიც აგრეთვე ორგანიზებას გაუწევს მეთოდურ სახელმძღვანელოზე მუშაობას.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში;
- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის
სტაჟი;
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა;
- სასურველია მეთოდურ სახელმძღვანელოებზე მუშაობისა და მეორე ენის სწავლების გამოცდილება;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
- კომპიუტერის ცოდნა.

**A სამუშაოს ადგილსამყოფელი, ხანგძლივობა და ხელშეკრულება:**
სამუშაო ადგილი თბილისი. ხელშეკრულება დაიდება 1 წლის ვადით. ანაზღაურება განხორციელდება ყოველთვიურად.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები და სამოტივაციო წერილი (CV, Cover Letter) ქართულ ენაზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-70-49; 95-49-52 F**
**el.-fosta: l@hotmail.com**
საკონტაქტო პირი **ლევან ბერიძე.**
განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 10 იანვარი.

ფეხბურთი

# დინამო - ცხოვრების წესი, ტრადიცია და პერსპექტივა

მიხეილ აბაიშვილი

27 დეკემბერს სასტუმრო "შერატონ მეტეხის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" საიუბილეო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში სპორტსაზოგადოება "დინამოს" დაარსების 80 წლის იუბილეს და 2005 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს. ზუსტად ერტი წელია, რაც ამ საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი, გოჩა ძასოხოვი. ამ არც თუ დიდი დროის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა.

ფინანსური თვალსაზრისით, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის ერთი წლის ხარჯებმა 220 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა ვეტერანი დინამოელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევაზე და პერსპექტიული სპორტსმენების სტიპენდირებაზე.

ერთი სპორტული კლუბის, თან საქართველოს საზომებით, 220 ათასი ნამდვილად არ არის მცირე თანხა, თუმცა, ის პროექტები, რომელთა განხორციელებაც ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" და მის პრეზიდენტს, გოჩა ძასოხოვს აქვს დაგეგმილი, აბსოლუტურად სხვა მასშტაბებისაა. თან, როგორც ფინსანსური, ისე სპორტულ-ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. თანამედროვე სტანდარტების საჩოგბურთო კომპლექსის მშენებლობა თბილისში, სპორტკომპლექსისა და მასთან არსებული ფეშენებელური სასტუმროს მშენებლობა ბაკურიანში, სტადიონისა და სპორტკომპლექსის მშენებლობა ქუთაისში - ასეთი გახლავთ "დინამოს" მიერ დასახული მიზნების არასრული სია, რომელთა განხორციელებასაც გოჩა ძასოხოვი 2006-2008 წლებში გეგმავს.

"ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი "დინამო" ყოველთვის იყო ქართული სპორტის ფლაგმანი. ჩვენი დევიზი "დინამო - ქართული სპორტის წარსული, აწმყო და მომავალი" - ჰაერიდან აღებული სიტყვები არ არის. ჩვენი უპირველესი მიზანია, სპორტულ დარბაზებსა და მოედნებს დაუბრუნდეს ახალგაზრდობა, ქუჩას მოწყდეს ათასობით ბავშვი. ყველას კარგად მოეხსენება, თუ დღეს რამდენად აქტუალურია ჯანმრთელი თაობების აღზრდა, მძიმე სენის - ნარკომანიის მოსპობა.ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ "დინამოს" უპირველესი დანიშნულებაა მასობრივი სპორტის აყვავება და განვითარება, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა. ამისათვის კი მუხლჩაუხრელი და დიდი ბრძოლაა საჭირო, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით", - განუცხადა "24 საათს" გოჩა ძასოხოვმა.

გუშინდელ საღამოზე კი სპორტსაზოგადოების სახელით ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს 2005 წელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ოჯახებს, ასევე, ფულადი ჯილდოები გადასცეს ვეტერან დინამოელ სპორტსმენებს.

საღამო მეტად მნიშვნელოვანი იდეით დასრულდა, რომელიც ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" პრეზიდენტმა გააჟღერა. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ეროვნული სიამაყე, ქართული სპორტის სავიზიტო ბარათი - ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. გოჩა ძასოხოვს დიდი სურვილი აქვს, მონაწილეობა მიიღოს სტადიონის რეკონსტრუქციაში და ამისთვის სოლიდური ფინანსების გამოყოფას აპირებს. მაგრამ, ამ მართლაც უმნიშვნელოვანესი საქმის დაწყებას გარკვეული ბიუროკრატიული ბარიერები უშლის ხელს. გუშინდელ საღამოზე ძასოხოვმა მიმართა შეკრებილ სპორტულ საზოგადოებრიობას, მხარი დაეჭირათ ამ იდეისთვის. რაღა თქმა უნდა, ყველა სტუმარი სიამოვნებით შეუერთდა იდეას. უახლოეს დღეებში შედგება მიმართვის ტექსტი თბილისის მერიის, საქართველოს სპორტის სამინისტროს და ქვეყნის ხელისუფლების მისამართით. მიმართვას თან ექნება ქართული სპორტის ყველა ცნობილი წარმომადგენლის და ვეტერანის ხელმოწერა და ვინძლო, ეს საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრას კიდეც. თუ არა და, ქართული სპორტის უდიდესი გამარჯვებების მომსწრე ეს არენა ამ გამარჯვებებივით წარსულს ჩაბარდება და თავზე დაგვენგრევა.

კალათბურთი

# საკალათბურთო მიმოხილვა

მამუკა ხოშტარია

კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატის ნახევარი უკვე გავიდა და უმაღლესმა ლიგამ საახალწლო ტაიმაუტი აიღო. ალბათ უკვე შეიძლება ზოგადად ტენდენციებზე, სიახლეებსა და გუნდების შანსებზე საუბარი. ზამთრის ჩემპიონი "თსუ-ნიკორა" გახდა. თუ ამ გუნდის შემადგენლობას გადავავლებთ თვალს, მივხვდებით, რომ ამაში გასაკვირი არაფერია. "თსუ"-ს ძალიან ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს, რომელიც ძირითადად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. სეზონის დასაწყისში შედარებით პრობლემური იყო მაღალი კალათბურთელების პოზიციები, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ სლოვენიიდან დაბრუნებული დავით უგრეხელიძის დამატებით ეს პრობლემაც გადაჭრა. სტუდენტთა წარმატების მთავარი შემოქმედი ალბათ მაინც ხორცპროდუქტების მწარმოებელი ფირმა "ნიკორაა", რომლის კაპიტალდაბანდებების წყალობით, სეზონის წინ თითქმის დაშლის პირას მისული გუნდი უმაღლესი ლიგის ფავორიტად იქცა. ამ ფონზე გასაკვირი არაა, რომ "თსუ-ნიკორას" დამარცხება განვლილ ორ წრეში ვერავინ შეძლო.

მიზანთან ყველაზე ახლოს ალბათ "ავიამშენი" იყო. ავიატორთა გუნდი ძლიერი და გამოცდილი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული. ჩვენი ქვეყნის პირობებში სუსტი წერტილები ამ გუნდსაც არ გააჩნია. "თსუ"-სთან ორჯერ დამარცხებამ კი გუნდი კიდევ უფრო მოტივირებული გახადა. ახალი წლის შემდეგ ამ გუნდების თამაშების პროგნოზირება კიდევ უფრო შეუძლებელი იქნება.

ჩემპიონატის კიდევ ერთი ფავორიტი რუსთავის "აზოტია". გუნდის ლიდერები ვეტერანი რამაზ გოგობერიშვილი და არჩილ ჟღენტი არიან. მეორე წრეში რუსთაველები გაძლიერდნენ - დაიმატეს სლოვაკეთმოვლილი დავით იმნაძე. "აზოტის" ერთ-ერთი კოზირი ძლიერი სათადარიგო სკამია. ამ გუნდის რიგებში მრავლად არიან პერსპექტიული კალათბურთელები, რომლებიც მომავალში აუცილებლად იტყვიან თავიანთ სიტყვას.

მოქმედი ჩემპიონი "სტუ" სეზონის წინ კინაღამ უსპონსოროდ დარჩა. ერთხანს მისი მონაწილეობა ჩემპიონატში სათუოც იყო. გუნდი ლიდერებმა დატოვეს, მაგრამ "სტუ"-მ შევსება მიიღო და უმაღლეს ლიგაში კვლავ ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. "დინამო" წელს ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდის, თუმცა გუნდი კვლავ მაღალი ადგილისთვის იბრძვის და სწრაფ, გააზრებულ კალათბურთს თამაშობს. "დინამოს" უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ყველა გუნდზე მეტად ეტყობა მწვრთნელის ხელი. გუნდი, სავარაუდოდ, ვერ ჩაერევა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, მაგრამ თუ შემადგენლობა შეინარჩუნა, სამომავლოდ დიდი პერსპექტივა ექნება.

"მაქაბის" რიგებში ქართული კალათბურთის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედი გიორგი შერმადინი თამაშობს და ეს გუნდი, სხვა თუ არაფერი, მარტო ამიტომ მაინც არის საინტერესო. შერმადინი (სიმაღლე 214 სმ), ახალგაზრდობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, ჩამოყალიბებულ თამაშს აჩვენებს. შერმადინი დღეს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრია. "სსუ"-მ სეზონის წინ დავით თორთლაძე დაიმატა. მის გარდა, გუნდში ძირითადად 20-22 წლის მოთამაშეები ირიცხებიან. "სსუ"-ს პრიორიტეტი კვლავ ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელების აღმოჩენა და გაზრდაა.

"ქუთაისმა" სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ საკუთარი თამაში იპოვა და მასთან იოლ გასეირნებას არავინ გეგმავს. გუნდის ლიდერები, ცენტრები კოლუაშვილი და ცერცვაძე არიან. რაც შეეხება სიახლეებს: მსაჯთა მაგიდასთან კომპიუტერი გამოჩნდა. ეს მსაჯებთან ერთად ჟურნალისტებსაც უადვილებს საქმეს. უკვე არც ერთი მოთამაშის სტატისტიკის მოპოვება არავისთვის პრობლემა არ არის, რაც უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ჩემპიონატის მთავარ პრობლემად კვლავ ტრიბუნებზე ხალხის ნაკლებობა რჩება. მიუხედავად იმისა, რომ დასწრება უფასოა და დარბაზში მოსულ არც მოთამაშეს და არც მაყურებელს სიცივით გათოშვა აღარ ემუქრება, ხალხის რაოდენობა თამაშიდან თამაშამდე უფრო და უფრო იკლებს. პრობლემების ნუსხაში მსაჯობაც შედის. მსაჯების რაოდენობა და კვალიფიკაცია ნამდვილად იძლევა შეშფოთების საბაბს.

| | თ | მ | წ |
|---|---|---|---|
| "თსუ-ნიკორა" | 14 | 14 | 0 |
| "ავიამშენი" | 14 | 12 | 0 |
| "სტუ" | 14 | 9 | 5 |
| "აზოტი" | 14 | 7 | 7 |
| "დინამო" | 14 | 7 | 7 |
| "მაქაბი" | 14 | 3 | 11 |
| "სსუ" | 14 | 2 | 12 |
| "ქუთაისი" | 14 | 2 | 12 |

მოკლედ

### საქართველო ფინალში ითამაშებს

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ოფიციალურ კონტრაქტს 8-10 იანვარს გააფორმებს, გამოთქვა რწმენა, რომ შესძლებს გუნდი 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანოს, გადმოგვცემს სააგენტო "როიტერი".

"ჩემი ძირითადი მიზანია გუნდთან ერთად შვეიცარიასა და ავსტრიაში გავიდე. დარწმუნებული ვარ, რომ გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც ლევან კობიაშვილი და კახა კალაძე თამაშობენ შეუძლია ამის მიღწევა" - განაცხადა გერმანელმა მწვრთნელმა.

### კახა კალაძე "იუნისეფის" ელჩია

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე, რომელმაც ქართველ ფეხბურთელთაგან პირველმა შეძლო ჩემპიონთა თასის მოგება, სხვა მხრივაც არავის დაუთმო პირველობა. კახა კალაძე დღეის იქით "იუნისეფის" ოფიციალური ელჩის სტატუსს ატარებს. ეროვნული ნაკრების კაპიტანი საპატიო მისიის შესრულებას შეუდგა ნუცუბიძის ფერდობზე მიუსაფარ ბავშვთა სოფლის მონახულებით. " მილანის " ქართველი ლეგიონერი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან, გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან და ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძესთან ერთად ეწვია მიუსაფარ ბავშვთა სოფელს, საპატიო სტუმრებმა კი ბავშვები საჩუქრები გაახარეს.

დღეს კახა კალაძე და კომპანია ძეგვის და გლდანის ბავშვთა სახლებსაც მოინახულებენ.

### დი სტეფანოს საოპერაციოდ ვერ იმეტებენ

ფეხბურთის ოდინდელი ლეგენდა, მადრიდის "რეალის" რიგებში ზედიზედ ხუთგზის ჩემპიონთა ლიგის მომგები, ამჟამად კი "სამეფო კლუბის" საპატიო პრეზიდენტი ალფრედო დი სტეფანო, რომელიც პარასკევს გულის შეტევის დიაგნოზით საავადყმოფოში გადაიყვანეს, ექიმების თქმით, ოპერაცია ესაჭიროება, მაგრამ ორგანიზმი ამის საშუალებას არ იძლევა.

"დი სტეფანო ძალზე ავადაა იმისთვის, რომ ურთულესი ოპერაცია გადაიტანოს", - დი სტეფანოს მკურნალი ექიმის ანასტასიო მონტრეროს სიტყვებს იშველიებს "ასოშიეიტედ პრესი".

მიუხედავად ამისა, ექიმები იმედოვნებენ, რომ ვეტერანი ფეხბურთელის მდგომარეობა სტაბილური გახდება, რაც მათ საშუალებას მისცემს დღესვე გაუკეთონ ოპერაცია.

### "ჩელსიმ" მანიშე გადაიბირა

პორტუგალიური პრესის ინფორმაციით ლონდონის "ჩელსიმ" კონტრაქტი გაუფორმა პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელ მანიშეს. მანიშესთვის ბრძოლაში ფავორიტად თავდაპირველად მადრიდის "ატლეტიკო" მიიჩნეოდა, რომელიც ფეხბურთელთან ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ აწარმოებდა მოლაპარაკებას. მაშინ ნათელი იყო, რომ პორტუგალიელი მოსკოვის "დინამოს" იანვარში აუცილებლად დატოვებდა. თუმცა ლონდონელებმა ბოლო მომენტში მადრიდელებს დაასწრეს და უკვე გააფორმეს კონტრაქტი როგორც კლუბთან, ისე ფეხბურთელთან. ტრანსფერის დეტალები არ ხმაურდება.

მანიშეს გადაბირება ერთი პერიოდი "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მან არჩევანი მოსკოვის "სპარტაკის" სერბ ნახევარმცველ ნემანი ვიდიჩზე შეაჩერა. ამ ტრანსფერს ხელი ორშაბათს მოეწერა. შეგახსენებთ, რომ მანიშე "ჩელსის" მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან ადრეც, "პორტუში" მუშაობდა და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ამიტომ მოურინიომ დაჟინებით მოითხოვა ფეხბურთელის შეძენა. შეთანხმება საბოლოოდ იანვრის შუა რიცხვებში გაფორმდება.

### ლარსონი სამშობლოში დაბრუნდება

სააგენტო "როიტერის" ცნობით კატალონიური "ბარსელონას" შვედ ფორვარდ ჰენრიკ ლარსონს გადაწყვეტილი აქვს სეზონის დასრულების შემდეგ ესპანეთი დატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს. "მე მეუღლესთან ერთად გავათვითცნობიერეთ, რომ მოვიდა სამშობლოში დაბრუნების დრო" - განაცხადა ლარსონმა. სავარაუდოდ ის "ჰელსინბორგის" ღირსებას დაიცავს, თუმცა ფეხბურთელს სხვა წინადადებებიც აქვს.

### გვარდიოლა ბარსელონაში ბრუნდება

"ბარსელონას" ყოფილი კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა "ნოუ კამპზე" ბრუნდება. ის მონაწილეობას მიიღებს საგამოფენო მატჩში კატალონია - პარაგვაი, რომელიც 28 დეკემბერს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირაში გვარდიოლამ კონტრაქტი გააფორმა მექსიკურ კლუბთან "დორადო".

### "მილანი" და "იუვე" დე იონგისთვის იბრძვიან

იტალიურმა გრანდებმა "მილანმა" და "იუვენტუსმა" დაიწყეს ბრძოლა ამსტერდამის "აიაქსის" ნახევარმცველ ნაიჯელ დე იონგისთვის. "მილანს" ფეხბურთელი ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა შესთავაზა. "აიაქსთან" დე იონგის კონტრაქტი ზაფხულში იწურება. "იუვენტუსის" პრეზიდენტ ლუჩანო მოჯის კი კარგი ურთიერთობა აქვს ფეხბურთელის აგენტ მინო რაიოლასთან, რომელმაც ტურინში უკვე ჩაიყვანა ზლატან იბრაგიმოვიჩი, ემერსონი და პაველ ნედვედი.

## საინფორმაციო ცნობა

**ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში ან სარგებლობაში გაცემაზე**

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება საკუთრებაში გაცემისას მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის 5%-ის ოდენობით.

აუქციოში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 99-53-26, საკონტაქტო პირი - ილია შარაშენიძე, ტელ: 899 33 22 11, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქლაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21, საკონტაქტო პირი - მარიკა ბეჟაშვილი, ტელ: 877 74 49 75

| N | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრიობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | ჰიპერმარკეტ "გუდვილის" მიმდებარე ტერიტორია | აუქციონი | საკუთრება | სავაჭრო ცენტრის მოწყობა | 17 700 კვ.მ | | | | 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| | სოლოლაკის ხეივნის დასახლებისა და სოლოლაკის ხეივნის N6 შორის | აუქციონი | საკუთრება | ბიზნეს ცენტრის მოწყობა | 6 900 კვ.მ | | | | 300 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| | ყოფილი რიტუალების სასახლის მტკვრის სანაპიროზე სამანქანო გზასა და აღნიშნულ სანყობებს შორის არსებული ფერდობი | აუქციონი | საკუთრება | მოვლა-პატრონობა | 1 750 კვ.მ | | | | 200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| | ისან-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო დიაგნოსტიკური ცენტრს შორის | აუქციონი | საკუთრება | სავაჭრო ცენტრის მოწყობა | 46 800 კვ.მ | | | | 60 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| | ვაზისუბნის გამზირის, ტაშკენტის და მიცკევიჩის ქუჩებზე | აუქციონი | საკუთრება | საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობისათვის | 10 509 კვ.მ | | | | 200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |
| | დიმიტრი თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | სავაჭრო ცენტრის მოწყობა | 85 400 კვ.მ | | | | 40 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში |

# სომხეთი: ახალშობილთა თანდაყოლილი ნაკლოვანებები შეშფოთებას იწვევს

*თანდაყოლილი დეფექტებით დაბადებულ ახალშობილთა სიმრავლე სომხეთის პატარა ინდუსტრიული ქალაქის მაცხოვრებლებს სასოწარკვეთაში აგდებს.*

მარიანა გრიგორიანი, ალავერდი

22 ოქტომბერს 22 წლის ანაიდ ჰაკობიანი (სახელი შეცვლილია) იძულებული გახდა, ორსულობა ხელოვნურად შეეწყვიტა. ულტრასონოგრაფიული გამოკვლევის შემდეგ მისმა ექიმმა უთხრა, რომ ნაყოფს განუკურნებელი დაავადება, ენცეფალიტი ჰქონდა.

„ბავშვს ტვინის ნაწილი აკლდა... ანაიდი ორსულობის მეშვიდე თვეში იყო, ამიტომ იძულებული გავხდით, ხელოვნური მშობიარობა გამოგვეწვია", – თქვა ქალაქ ალავერდის სამშობიარო სახლის ქალთა კონსულტაციის განყოფილების უფროსმა როზა მაჩქალიანმა.

ექიმები ამბობენ, რომ ბოლო დროს ბავშვები მსგავსი დეფეტებით ალავერდსა და მის გარშემო განლაგებულ სოფლებში ხშირად იბადებიან. ადგილობრივები ამას ფაბრიკის მავნე გამონაბოლქვს აბრალებენ, რასაც საწარმოს წარმომადგენლები უარყოფენ. არც ერთ დამოუკიდებელ კვლევას დეფექტების გამომწვევი მიზეზი არ დაუდგენია.

„ექიმო, ჩემი შვილი ნორმალურია?" – ჰკითხა ექიმს ახალგაზრდა ორსულმა ქალმა, რომელიც მასთან გასასინჯად მივიდა და ყოველნაირად ცდილობდა, ულტრასონოგრაფიული აპარატის მონიტორზე რამე დაენახა. როზა მაჩკალიანმა გვითხრა, რომ ალავერდში ამ კითხვას ორსულები ყველაზე ხშირად სვამენ.

ალავერდის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ამალია აზატიანი ამბობს, რომ სომხეთის ჯანდაცვის სამინისტროში წლიური ანგარიშის წარადგენისას ხშირად ეკითხებიან, რატომ იბადება მის ქალაქში თანდაყოლილი დეფექტების მქონე ამდენი ბავშვი.

„ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს, რადგან სრულფასოვანი გამოკვლევა არ გაკეთებულა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეულ როლს გარემოს დაბინძურება თამაშობს; ეს ფაქტორი ადამიანზე საშინელ ზემოქმედებას ახდენს, ორსულები კი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან, ნაყოფზე რომ აღარაფერი ვთქვათ", – გვითხრა აზატიანმა.

„წელს კატასტროფული სიტუაციაა, რადგან ბავშვები მთელი რიგი ისეთი თანდაყოლილი დეფექტებით იბადებოდნენ, რომლებიც ადრე არ გამოვლენილა", – დასძინა მან.

აზატიანის თქმით, მათ საავადმყოფოში ჯანდაცვის სამინისტროს მითითებით ულტრაბგერითი აპარატურა დაამონტაჟეს. შედეგად, დაგვიანებული აბორტების თავიდან აცილება შესაძლებელი გახდა. მან აგრეთვე თქვა, რომ თანდაყოლილი დეფექტებიდან, ყველაზე ხშირი იყო ჰიდროცეფალია (როდესაც ნაყოფს ტვინის ნაცვლად წყალი აქვს), ანესეფალია (როდესაც ბავშვს მხოლოდ თავის წინა ნაწილი აქვს, უკანა კი – არა) და სხვა შედარებით ნაკლებსაშიში დეფექტები – მგლის ხახა და კურდღლის ტუჩი.

ალავერდი ერევნიდან 190 კილომეტრში მდებარეობს. ოფიციალური მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 22 ათასს შეადგენს, მაგრამ რეალური ციფრი ემიგრაციის გამო, შესაძლოა, მხოლოდ ამის მეოთხედი იყოს. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ალავერდი ფერადი ლითონების წარმოების უდიდეს ცენტრად ითვლებოდა.

სპილენძის მომპოვებელი საწარმო დღეს ერთადერთია, რომელიც ქალაქში ფუნქციონირებს და ხუთასამდე ადამიანს სამუშაო ადგილით უზრუნველყოფს. სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იქ ახლანდელზე ათჯერ მეტი ადამიანი მუშაობდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და გარემოს დაცვითი აქციების გააქტიურების გამო 1989 წელს საწარმო დაიხურა. თუმცა 1996 წელს ის ხელახლა ამოქმედდა. „დღეისათვის საწარმო ადრინდელთან შედარებით მეოთხედი დატვირთვით მუშაობს", – გვითხრა სპილენძის სადნობი ქარხნის წარმომადგენელმა ანდრანიკ გამბარიანმა.

ეკოლოგები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ამბობენ, რომ პატარა ქალაქს პრობლემები სწორედ ამ საწარმოს გამო ექმნება. გოგირდის ანჰიდრიდი 100-მეტრიანი მილით ზემოთ ამოდის, რის გამოც ქარხნის ირგვლივ ხეები, ბუჩქები და ბალახი მთლიანად გახმა. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 1992 წელს, როცა საწარმოს მუშაობა შეჩერებული იყო, ბავშვთა თანდაყოლილი ანომალიები აღარ დაფიქსირებულა. სამაგიეროდ, 2001 წლიდან დეფექტით დაბადების 28 შემთხვევა დაფიქსირდა. 2004 წელს კი 107 ასეთი შემთხვევა აღირიცხა.

ქარხნის წარმომადგენლების მტკიცებით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასა და მავნე გამონაბოლქვის ზემოქმედებას შორის პირდაპირი კავშირი არ დადასტურებულა. „დეფექტების სტატისტიკა რეალობას არ შეესაბამება", – ამბობს ანდრანიკ გამბარიანი.

„არავინ უარყოფს, რომ გამონაბოლქვი არის, მაგრამ მას ჯანმრთელობისთვის ზიანი არ მოაქვს. ზოგი ჭორებს შურის გამო ავრცელებს, საწარმოს ამოქმედების შემდეგ ხომ ადრინდელთან შედარებით ათჯერ ნაკლები ადამიანია დასაქმებული. ზოგიერთი უმუშევარი დარჩა", – დასძენს იგი.

გარემოს დაცვის სამინისტროში ადასტურებენ, რომ ალავერდის საწარმოში მავნე ნივთიერებების გამოყოფის დონე დასაშვებ სტანდარტებს აჭარბებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამინისტრო აქ არავითარ გარემოსდაცვით პროგრამას არ ახორციელებს.

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ სომხეთის მასშტაბით თანდაყოლილი დეფექტებით დაბადების შემთხვევები საკმაოდ ხშირია. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უარესი მდგომარეობა მხოლოდ ყირგიზეთშია.

„1980-2004 წლებში სომხეთში თანდაყოლილი დეფექტების დაბადებულთა რაოდენობა გაორმაგდა. თუ ეს პრობლემა სასწრაფოდ არ მოგვარდა, ხვალ ძალიან გვიან იქნება. ჩვენი გენოფონდი უნდა გადავარჩინოთ. განგაში დღესვე უნდა ავტეხოთ, ალავერდი ხომ ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ადგილია", – განაცხადა ორგანიზაცია „სომხეთის ქალები ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოსათვის" წარმომადგენელმა ელენა მანველიანმა.

ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის დეპარტამენის წამყვანი სპეციალისტი გაიანე ავაგიანი დარწმუნებულია, რომ პრობლემები უდავოდ ტოქსიკური გამონაბოლქვითაა გამოწვეული.

„რასაკვირველია, ანომალიების გაჩენა, რა თქმა უნდა, გარემოს დაბინძურებასთანაა დაკავშირებული, რადგან ადამიანის ორგანიზმში დეფექტების გამოწვევა თითქმის ყველა ნივთიერებას შეუძლია", – თქვა მან.

ავაგიანი აღიარებს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ამ პრობლემის გადაწყვეტას მარტო ვერ შეძლებს, აუცილებელია მთავრობის სხვა უწყებების დახმარებაც.

ალავერდის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის თავმჯდომარის ლარისა პარემუზიანის თქმით, შექმნილი პრობლემების მიუხედავად ადგილობრივ მოსახლეობას საწარმოსთან დაკავშირებით არაერთმნიშვნელოვანი პოზიცია აქვს.

მისი თქმით, 1989 წელს – ქარხანის დახურვის შემდეგ ბუნება გამოცოცხლდა. თუმცა იმავდროულად ალავერდის მაცხოვრებლებმა დასაქმების ერთადერთი წყარო დაკარგეს და ქალაქიდან გადასახლება დაიწყეს.

www.iwpr.net



ვაჰან ბერეჯიანი

*ეს ფოტო გასული საუკუნის 80-იან წლებშია გადაღებული. მას შემდეგ ქალაქ ალავერდში არაფერი შეცვლილა*

# ჩეჩნეთი: ბრძოლა კორუფციასთან

*როგორც ჩანს, ჩეჩნეთის ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლას ცდილობს, მაგრამ რამდენად შორს წავა ეს კამპანია?*

უმალტ დუდაევი, გროზნო

ჩეჩნეთის ომის შედეგად დაზარალებულთა კომპენსაციების ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის დაპატიმრება, ერთი შეხედვით, კორუფციასთან ბრძოლის ახალ მცდელობაზე მიუთითებს. თუმცა ბევრი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სისტემაში კორუფციას იმდენად აქვს ფესვები გადგმული, რომ მის აღმოფხვრას ბევრი ასეთი სკანდალური საქმის გამოძიება დასჭირდება.

აბუბაქირ ბაიბატიროვი 2003-04 წლებში იმ კომიტეტს ხელმძღვანელობდა, რომელიც ხალხისთვის კონფლიქტის წლებში დაკარგული სახლებისა და სხვა ქონების სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემაზე იყო პასუხისმგებელი. იგი 28 ნოემბერს მოსკოვში დააკავეს და ამჟამად გროზნოში მილიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ბაიბატიროვს ბრალად თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედება. იგი ფონდიდან 15 მილიონზე მეტი რუბლის (დაახლოებით 520 ათასი დოლარი) მითვისებაშია ეჭვმიტანილი.

აღნიშნულ ბრალდებათა შესახებ კომენტარის გასაკეთებლად IWPR-მა ბაიბატიროვთან და მის ადვოკატთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

იმავე კვირას, რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ჩეჩნეთის სამმართველომ გროზნოს მთავარი აეროპორტის რეკონსტრუქციის პროექტიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ საქმის დეტალები და შესაძლო ეჭვმიტანილთა ვინაობა, ჯერჯერობით, არ ხმაურდება.

ამ ორი საქმის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ კორუფციის ფაქტების აღმოფხვრა გადაწყვიტა. პირველ რიგში კი, ყურადღება ჩეჩნეთის ომის შემდეგ განადგურებული შენობებისა თუ ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილ თანხებზე მახვილდება. მოსახლეობა, რომელიც მიიჩნევს, რომ მათთვის განკუთვნილი ფული ადრესატებამდე ვერ აღწევს, ხელისუფლების ასეთ ნაბიჯებს მიესალმება.

კომენსაციების გაცემის პროცესში განსაკუთრებულ შეშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ ზოგმა განადგურებული ქონების საკომპენსაციოდ გამოყოფილი თანხა საერთოდ ვერ მიიღო. სხვებს კი კუთვნილი კომპენსაციის მისაღებად ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის დიდი ოდენობით თანხის გადახადა მოუხდათ.

ათასობით ადამიანს, რომლის ქონებაც ბრძოლების დროს დაზიანდა ან განადგურდა, 300 ათასი რუბლისა (10 ათასი დოლარი) და სახლის მიღების უფლება აქვს. გარდა ამისა, მათ 50 ათასი რუბლი (1700 დოლარი) დანარჩენი ქონების კომპენსირებისთვის ეძლევათ.

ჩეჩნეთის ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა IWPR-ს განუცხადა, რომ კომპენსაციებისთვის 14 მილიარდი რუბლი (480 მილიონი დოლარი) გამოიყო. კომპენსაცია 83 ათასმა ადამიანმა მოითხოვა. მათგან თანხა მხოლოდ 40 პროცენტმა მიიღო.

რამზან კაცაევი, რომელის სახლი გროზნოს დაბომბვის დროს განადგურდა, ხელისუფლებისგან თანხის მიღება ვერ მოახერხა. „ყველა იმ ადამიანის მსგავსად, ვინც ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით საბუთები წარადგინა, ფონდის წარმომადგენლებისთვის თანხის ნახევრის მიცემა მეც შემომთავაზეს. ამ წინადადებაზე უარი განვაცხადე, რის შემდეგაც კუთვნილი ფული საერთოდ ვეღარ მივიღე", – ამბობს კაცაევი.

ბევრი ხელისუფლების წარმომადგენლებს ბრალს თანხების მითვისებაში სდებს.

„რის გაკეთება შეუძლია ხალხს მაშინ, როცა სახელმწიფო მას ბოლომდე ქურდავს, თანაც ერთხელ კი არა, ზედიზედ ორჯერ", – განაცხადა არასამთავრობო ორანიზაცია „იძულებითი მიგრანტების უფლებების დამცველი კომიტეტის" თავმჯდომარემ ასლამბეკ აპაევმა.

აპაევის თქმით, მას შემდეგ, რაც ხალხმა კონფლიქტის დროს სახლები დაკარგა, „ბიუროკრატებმა ის მცირედი თანხაც არ მისცეს, რასაც თავის დროზე დაპირდნენ. დღეს ის ფული საშუალო ზომის სახლის საძირკვლის ასაშენებლად თუ იქნება საკმარისი", – დასძინა მან.

გასულ წელს კომპენსაციების გაცემის კორუფციულ სისტემასთან დაკავშირებით საზოგადოების უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია. ამიტომ საკომპენსაციო კომიტეტის მუშაობაზე პასუხისმგებლობა ჩეჩნეთში ყველაზე გავლენიანმა ფიგურამ რამზან კადიროვმა იკისრა.

საკომპენსაციო კომიტეტის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, IWPR-ს განუცხადა, რომ „ბაიბატიროვი განტევების ვაცად იქცა, ეს კი უსამართლობაა".

„ჩვენი კომიტეტის მისამართით მრავალი საყვედური გამოითქვა, მაგრამ ყველაფრის ბაიბატიროვზე დაბრალება არასწორად მიმაჩნია", – განაცხადა მან. სხვადასხვა დონეზე 80 ათასამდე (მათ შორის ხშირად შეუსაბამო) მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტი მუშავდებოდა, ამიტომ „ბაიბატიროვს ყველასა და ყველაფრის გაკონტროლება, უბრალოდ, არ შეეძლო".

„ჩემი აზრით, ეს მორიგი PR-კამპანიაა, რომელიც ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ ყველაფერი ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება და ხელისუფლება პრობლემების გადაწყვეტის საკითხს სერიოზულად ეკიდება", – დასძინა ბაიბატიროვმა.

მეორე საქმე ეხება გროზნოს აეროპორტს „სევერნის", სადაც აღდგენითი სამუშაოები დღემდე გრძელდება – მიუხედავად იმისა, რომ 2001 წელს დაწყებული რეკონსტუქციის დასრულება მიმდინარე წლის დასაწყისში იგეგმებოდა. წლის დასაწყისში ჩეჩნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ აეროპორტიდან ფრენები 2006 წლის პირველ კვარტალში განახლდებოდა, მაგრამ ამ თარიღმა ექვსი თვით გადაიწია.

უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ აღძრული საქმის დეტალები უცნობია, მაგრამ როგორც ამბობენ, საუბარია პროექტისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების დატაცებაზე.

ცხადია, არამიზნობრივად დახარჯული ან უბრალოდ მოპარული საბიუჯეტო თანხების შესახებ მონაცემების მოპოვება საკმაოდ რთულია. მაგრამ რუსეთის ეროვნული კონტროლის პალატის 16 დეკემბერს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ჩეჩნეთის რეკონსტრუქციის პროგრამა წარუმატებელი იყო. პალატის გაანგარიშებით, 274 საჯარო და სამეწარმეო შენობიდან მხოლოდ 127-ის რეკონსტრუქცია მოხდა. თანაც აღდგენითი სამუშაოების შეფერხების მიზეზი თანხის სიმცირე არ ყოფილა – ჩეჩნეთის რეკონსტრუქციისთვის მოსკოვის მიერ გამოყოფილი 8 მილიარდი რუბლიდან მხოლოდ 3.5 მილიარდი დაიხარჯა.

ფართომასშტაბიანი პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი უზარმაზარი თანხების დაკარგვის შესახებ გავრცელებული ხმები ჩეჩნეთში ცოტას თუ აკვირვებს. ისინი ქრთამის მიცემის ფაქტები და კორუფცია ყველა დონეზე ფართოდაა გავრცელებული – როგორც მოსკოვში, ისე გროზნოში.

„ჩეჩნეთის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილ ფულს უბრალოდ იპარავენ - მოსკოვშიც და აქაც. არსებობს ქრთამების, წილებისა თუ სხვა მსგავსი მაქინაციების მთელი სისტემა, რომელსაც უმაღლესი დონის ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები წარმატებით იყენებენ", – განაცხადა ჩეჩნეთის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ალი დაკაევმა.

„ქრთამის აღებამ და ფულის გამოძალვამ სავალალო მასშტაბებს მიაღწია. ყველაზე საშინელი კი, ის არის, რომ საზოგადოება ყოველივე ამას შეეჩვია და შეურიგდა", – დასძინა მან.

აქ საუბარი მხოლოდ კორუფციულ სკანდალებს არ ეხება. ხალხს მუდმივად უხდება ქრთამის მიცემა იმისთვის, რომ მიიღოს განათლება, დაწინაურდეს სამსახურში ან, უბრალოდ, გადალახოს ბიუროკრატიული ბარიერები.

დაკაევის თქმით, უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვედრა 3 ათას დოლარამდე ღირს, დაახლოებით ამდენივე – მილიციის რიგებში ჩარიცხვა. ყველა სახის მომსახურებას თავისი ფასი აქვს – საავადმყოფოში დაწოლით დაწყებული ნებისმიერ საბუთზე ხელის მოწერით დამთავრებული. „ისინი ფულს ნებისმიერი დოკუმენტის გაცემაში იღებენ", – აღნიშნა მან.

დაკაევს მიაჩია, რომ კორუფციასთან ბრძოლა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. „ამჟამად, როცა ხალხი ძირითადად უსაფრთხოებაზე ფიქრით არის დაკავებული, როცა მკვლელობები, გატაცებები თუ არასანქცირებული დაკავებები კვლავ პრობლემად რჩება, კორუფციის თემა მეორადი მნიშვნელობისაა. მაგრამ ადრე თუ გვიან, მას უნდა მოევლოს – და უკეთესი იქნება, თუ ეს ადრე მოხდება, ვიდრე გვიან", – დასძინა მან.

www.iwpr.net

# აზერბაიჯანი: ბიბლიოთეკათა დათვლილი დღეები

*აზერბაიჯანის დანგრევის პირას მყოფ ბიბლიოთეკათა სისტემაში ხანდახან სასურველი წიგნის მოძებნაც კი შეუძლებელია.*

ნიგარ მუსაევა, ბაქო

ირინა სევასტიანოვამ, რომელსაც ხელში დაშლილი წიგნი ეჭირა, სათვალე სასოწარკვეთილი გამომეტყველებით მოიხსნა. ბაქოს ცენტრში მდებარე მამედხანის ბიბლიოთეკა, სადაც იგი მუშაობს, ერთ დროს აზერბაიჯანში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იყო. ახლა კი, შენობის დანგრევის პირას მყოფი კედლები, გაცვეთილი ლინოლიუმი და საბჭოური პერიოდის ავეჯი იმაზე მეტყველებს, რომ ის წლების განმავლობაში მიტოვებულია. სამკითხველო ოთახში სკამები მორყეულია და მერხებს ლაქი აქვს გადაცლილი. შემოდგომასა და ზამთარში, ცენტრალური გათბობის უქონლობის გამო პერსონალი ელექტრონულ გამათბობლებს იყენებს.

ბოლო 15 წლის განმავლობაში აზერბაიჯანში ბიბლიოთეკები სისტემატურად უსახსრობას განიცდიან. ზოგი მათგანი დაიხურა, გადარჩენილები კი ახალ გამოცემებს ვერ იძენენ, რადგან საბჭოთა პერიოდთან შედარებით ნაკლები წიგნი იბეჭდება და უფრო ძვირიც ღირს. მკითხველთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად შემცირდა. ვინც ჯერ კიდევ დადის ბიბლიოთეკაში, სასურველ წიგნებს ვერ პოულობს. ქვეყნის წამყვანი მეცნიერები და მწერლები შიშობენ, რომ საბიბლიოთეკო სისტემის მოშლა მომავალში სავალალო შედეგებს მოიტანს.

„ადგილობრივი ხელისუფლება ფულს მხოლოდ ახალი წიგნების შესაძენად გვაძლევს – და ისიც შეზღუდული რაოდენობით. მაგალითად, მთელი გასული წლის განმავლობაში, მხოლოდ მილიონი მანათი (დაახლოებით 200 ამერიკული დოლარი) მივიღეთ", – განაცხადა სევასტიანოვამ.

სევასტიანოვა, რომელიც 30 წელია, ბიბლიოთეკარად მუშაობს, ხელფასის სახით მხოლოდ 160 ათას მანათს ანუ 35 აშშ დოლარს იღებს. იგი ამბობს, რომ ნათურებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა ნივთების ყიდვა საკუთარი ფულით უწევს.

„შედეგად, ჩემი ხელფასი მხოლოდ სამსახურში მოსასვლელად ტრანსპორტის ხარჯებისთვის არის საკმარისი", – ამბობს იგი.

აზერბაიჯანში ოფიციალურად 9 ათასზე მეტი ბიბლიოთეკაა და თითქმის ყველა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია.

მეცნიერებისა და ტექნიკის ეროვნული ბიბლიოთეკა ბაქოს ცენტრში მდებარე შენობიდან ახლახან გარეუბანში გადაიტანეს, სადაც გაცილებით უარესი პირობებია. ბიბლიოთეკის ძველი შენობა „ბაქოს ბანკის" საკუთრება გახდა. ყოფილ ლენინის სახელობის ბიბლიოთეკას საჯარო დაწესებულების სტატუსი ჩამოერთვა და საპრეზიდენტო ბიბლიოთეკად გადაკეთდა.

აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ლატიფა მამედოვა, რომელიც ბიბლიოთეკებზე პასუხისმგებელ სამსახურს ხელმძღვანელობს, ბიბლიოთეკების დაფინანსების საკითხში არსებულ პრობლემებს ასე ხსნის – მისი სამსახური ოფიციალურად კულტურის სამინისტროს კონტროლქვეშ იმყოფება, მაგრამ ბიბლიოთეკები დაფინანსებას ადგილობრივი ბიუჯეტებისა და კულტურული ცენტრებისგან იღებენ.

თუმცა, ინფორმაციის მიღების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერც ადგილობრივი ხელისუფლებებისა და ვერც კულტურული ცენტრების წარმომადგენლებმა IWPR-ისთვის იმის ახსნა ვერ შეძლეს, კონკრეტულად როგორ ფინანსდება ბიბლიოთეკები – ჩვენს კორესპონდენტს ერთი დეპარტამენტიდან მეორეში აგზავნიდნენ.

საჯარო ბიბლიოთეკებს წიგნების პირდაპირ მაღაზიების ან გამომცემლებისგან შეძენის უფლება არ აქვთ – კანონის თანახმად, მათ ახალი წიგნები ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი სადისტრიბუციო ცენტრისგან უნდა შეიძინონ, რომელიც საბაზრო ფასზე მეტს ითხოვს. გარდა ამისა, აღნიშნულ ორგანიზაციას ბიბლიოთეკებისთვის რუსულენოვანი წიგნების მიწოდება არ შეუძლია.

ახალი რუსულენოვანი წიგნების ნაკლებობა პრობლემაა არა მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც რუსული მშობლიური ენაა, არამედ მათთვისაც, ვისაც ამ ენაზე კითხვა შეუძლია.

2004 წლის იანვარში პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მთელი რიგი კლასიკოსების ნაწარმოებთა, ცნობარებისა და ენციკლოპედიების დაბეჭდვისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით ბიბლიოთეკებისთვის დარიგების შესახებ განკარგულება გამოსცა.

ყველა ეს წიგნი აზერბაიჯანულში გამოყენებული ლათინური შრიფტით არის დაბეჭდილი, რომელიც 1991 წლის (ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების) შემდეგ შემოვიდა. ცუდი ის არის, რომ შედარებით ახალგაზრდა მკითხველთათვის, რომელთაც განათლება ახალი ანბანის გამოყენებით აქვთ მიღებული, რუსულ კირილიცაზე დაფუძნებული ძველი აზერბაიჯანული შრიფტით დაწერილი წიგნები მიუწვდომელი გახდება.

ქვეყანაში ერთადერთი ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ კიდევ სავსეა მკითხველებით, ახუნდოვის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკაა. თუმცა აქაც ცივი სამკითხველო ოთახებია და არც სასურველ წიგნის პოვნაა იოლი.

მაგრამ აღნიშნული ბიბლიოთეკის დირექტორის კერიმ ტაიროვის თქმით, მათი დაფინანსების მექანიზმი განსხვავებულია და აქედან გამომდინარე ფინანსური პრობლემები საერთოდ არ არსებობს. სექტემბერში ბიბლიოთეკარებს ხელფასი ორჯერ გაეზარდათ კიდეც.

„მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა კულტურის სამინისტროს პირდაპირი ფინანსური კონტროლის ქვეშაა. სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საჭირო წიგნებით ვიყოთ უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებიც გვეხმარებიან", – ახსნა ტაიროვმა.

ბაქოს უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის 20 წლის სტუდენტმა დინარა ბაირამოვამ აღნიშნა, რომ ქალაქის ბიბლიოთეკებში მისთვის სასურველი წიგნების პოვნა საკმაოდ რთული პროცესია.

„როცა მასწავლებელი რაიმე წიგნის მოსაძებნად გვაგზავნის, ცუდ ხასიათზე ვდგებით, რადგან წინასწარ ვიცით, რომ აურზაურის შექმნა მოგვიწევს. ხანდახან შთაბეჭდილება გრჩება, რომ ბიბლიოთეკარები მიზეზებს განგებ იგონებენ, რათა წიგნი არ მოგცენ. წიგნი რომ მოგიძებნონ, ჩხუბი გჭირდება და ცხადია, ყველაფრის ხალისი გეკარგება", – თქვა დინარამ.

ბიბლიოთეკარად მუშაობის მსურველი ბევრი არ არის. ყოველწლიურად, ბაქოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტის 95 კურსდამთავრებულიდან პროფესიით მუშაობას მხოლოდ რამდენიმე იწყებს. ისევე როგორც საჯარო სექტორის სხვა სამსახურებში, ხელფასი აქაც დაბალია და თანაც ბიბლიოთეკაში მუშაობა დამატებითი შემოსავლის მისაღებად ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა.

შედეგად, ბიბლიოთეკარების უმრავლესობა ამ სისტემაში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს და ახლა პენსიაზე გასვლას ელოდება.

„მუშაობას ინერციით ვაგრძელებ, მინდა ვნახო, რა მოხდება. ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენი ბიბლიოთეკები უკანასკნელ დღეებს ითვლიან და მალე საერთოდ შეწყვეტენ არსებობას", – თქვა ბიბლიოთეკარმა ლენა სელიმოვამ.

თანაც, ახალგაზრდებს, რომლებსაც ინტერნეტით სარგებლობის საშუალება აქვთ, წიგნების ნაკლებობა დიდად არ აწუხებთ. ხოლო მცირე შემოსავლის მქონე მოსახლეობა, მწერალ ნატიკ რასულზადეს თქმით, ისედაც იშვიათად კითხულობს.

„როგორ შეიძლება ბიბლიოთეკებზე ვილაპარაკოთ მაშინ, როცა მოსახლეობის ნახევარს ინტერნეტი აქვს, მეორე ნახევარს კი ბიბლიოთეკებისთვის არ სცალია, რადგან მთელ დროსა და ენერგიას საკუთარი თავისა თუ შვილების გამოკვებაზე ზრუნვაში ატარებს?", – იკითხა რასულზადემ.

„ბოლო წლებში განათლების, კულტურისა და ხელოვნების მიმართ ინტერესი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც საზოგადოების ინტელექტუალურ დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს. წიგნები თითქმის არ იბეჭდება, იმას კი, რაც გამოდის, არავინ კითხულობს. დროებამ სხვა ცხოვრება მოიტანა", – დასძინა მან.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით. სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.

კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ვირტუალური რეალობა თუ ნამდვილი თოვლის ბაბუა?!

ნინია კაკაბაძე

**რას ვთავაზობთ ხალხს?!** რამდენიმე ვერსია არსებობს - ვთავაზობთ იმას, რასაც საზოგადოება ითხოვს, თუ იმას, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ კარგია და უნდა მოსწონდეს?! როგორც საზოგადოებრივი ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილე იტყვის, - "ამას სჭირდება მეთოდოლოგიური კვლევა". რასაკვირველია, განსაკუთრებით იმ საკითხს, რომელიც ხალხის ცნობიერების მანიპულირებას ცდილობს, ერთმნიშვნელოვნად სჭირდება კვლევა და კვლევის საფუძველზე გეზის, პრიორიტეტების დადგენა, რომელიც მასების, საბოლოო ჯამში პოლიტიკურ-სოციალურ მოქალაქეობრივ პოზიციას შექმნის და გარკვეულწილად გემოვნებასაც ჩამოაყალიბებს. თავად მრავალგზის გახლდით იმგვარი პოლემიკის მონაწილე, სადაც ვარკვევთ - რა უნდა შევთავაზოთ საზოგადოებას. გუშინდელი სანახაობა, ვფიქრობ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია და კვლევის ერთ-ერთ საუკეთესო მიღწევადაც შეიძლება მოვიაზროთ. დედაქალაქს ნამდვილი თოვლის ბაბუა ესტუმრა, რა შეიძლება იყოს ამაზე შესანიშნავი?! თანაც მის მოახლოებას ქვეყნის უმაღლესი პირები, ჟურნალისტები და ამ ბაბუს ჩამოყვანის პროცესში ჩართული ადამიანები ერთნაირი სერიოზულობით გვამცნობდნენ. შედეგი ჩვენ თვალწინ არის, მის სანახავად ქუჩაში ათასობით ადამიანი გავიდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუკი რაიონებიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, თბილისის მოსახლეობის უმეტესობა ალბათ გუშინ რუსთაველის პროსპექტზე იყო. თოვლის ბაბუის გამოჩენა ერთნაირად უხაროდა როგორც ქვეყნის პირველ პირს, ასევე მის თანმხლებ ჩინოვნიკებს და საზოგადოების ყველა სრულწლოვან თუ არასრულწლოვან წარმომადგენელს. საზეიმო განწყობა მართლაც შეიქმნა, "მეტი რა ქნას ჩვენმა მთავრობამ" - ეს პოპულარული ფრაზა ალბათ ტელეეკრანებთან მომლოდინე მაყურებლისგან ისმოდა. და მართლაც, თუკი სხვა საჩუქარს ვერ უკეთებს ქვეყანა შიმშილის ზღვარზე მყოფ მოსახელობას, რა უნდა ქნას - სთავაზობს სანახაობას. ალბათ, ქალაქის გარეუბნებში გამოჩნდა უფასო ავტობუსები, რომელსაც მოსახლეობა რუსთაველის გამზირზე მოჰყავდა და სავარაუდოდ ამგვარი წარწერაც ჰქონდათ: "ვისაც ნამდვილი თოვლის ბაბუის ნახვა სურს". ამიტომ რუსთაველზე მართლაც ბევრი ხალხი შეიკრიბა.



ინფანტილური პრეზიდენტის, მინისტრების და ჟურნალისტების დახმარებით საზოგადოებაც მათ მსგავს სახეს იღებს და ერთ მთლიანობად იქცევა. და რატომ მოვიყვანეთ მედიაზე საუბრისას ეს, თოვლის ბაბუის ჩამობრძანების მაგალითი. პირველი - იმიტომ რომ, გუშინდელი შთაბეჭდილება წარუშლელი, დაუვიწყარი იყო და მეორე - კვლევის სამწუხარო დასკვნა: საზოგადოება სიხარულით იღებს იმას, რასაც ვთავაზობთ. ნებისმიერ ჭკუასუსტს შეუძლია წარმოიდგინოს და შემდეგ ხორცი შეასხას ნებისმიერ ჭკუამოკლებულ იდეას, ჩვენ ტაშს დავუკრავთ და მოვიწონებთ. თუკი გვჯერა და გვიხარია, რომ უშგულიდან ნამდვილი თოვლის ბაბუა ჩამოვიდა, მაშინ რატომ არ უნდა დავიჯეროთ ის, რასაც უკანასკნელი წლის განმავლობაში, არა ერთხელ და არა მხოლოდ საახალწლოდ, არამედ მთელი წლის მანძილზე მედიის დახმარებით "ახალი ჩინოვნიკები" ჩაგვძახიან: ქვეყანა წინ მიდის, ქვეყანა ვითარდება, ქვეყანაში სიმშვიდეა, ქვეყანა მაძღარია, ქვეყანა უზრუნველყოფილია და ა.შ. და ა.შ. რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ჩვენ ამ ვირტუალური რეალობის არ გვჯეროდეს?!

ახლა კი შევეცდებით, უფრო საქმიანი ტონი მივცეთ ჩვენს სტატიას და მოკლედ შევაჯამოთ ქართული ტელევიზიების ნამუშევარი 2005 წლის მიწურულს. რა შესთავაზა მოსახლეობას გასულ წელს ქვეყნის მეოთხე ხელისუფლებამ?

**"საზოგადოებრივი ტელევიზია"**. ვიდრე საოცრად მომხიბვლელი და კეთილგანწყობილი ბატონი ბადრი (არა პატარკაციშვილი, არამედ კოპლატაძე, მეთოდოლოგიურ კვლევას დაასრულებს, ვფიქრობ ამ არხის პერსპექტივა ისეთივე ბურუსით მოცული იქნება, როგორც დღეს არის. თუმცა აქ ხომ მხოლოდ ბატონი ბადრი არ გახლავთ და ბოლოს და ბოლოს ის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი წევრია და არა პირველი პირი. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ ბურუსით მოცულ პერსპექტივაში მკრთალადაც არ მოჩანს ნება უკეთესი ტელეარხის შექმნისა. არხზე სულ ორი გადაცემაა. დილის გადაცემა "ადრე" და საინფორმაციო გამოშვება "მთავარი". დილის წარუმატებელი გადაცემა დროებით შეაჩერეს და განახლებული სახით რამდენიმე ხანში წარდგნენ ჩვენს წინაშე. განახლება ახალ წამყვანებს გულისხმობს. ამ არხის "ადრეულ" თავმჯდომარეს ამგვარი ჩვევა ჰქონდა: რომელიმე, ასე ვთქვათ წარუმატებელი გადაცემის შეჩერებისას, დეკორაციას ცვლიდა და განახლებული ფონით (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და ძველი შინაარსით წარდგებოდა ხოლმე ჩვენს წინაშე. ახალმა ხელმძღვანელობამ დეკორაცია უცვლელი დატოვა, შეცვალა წამყვანები და თითქოს გაამარტივა გადაცემის წყობა. ალბათ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, დეკორაცია შეეცვალათ, სიახლის არომატი მაინც დატრიალდებოდა დილაადრიან. ამ შემთხვევაში კი წინსვლის და განვითარების ნაცვლად სახეზეა აშკარა უკუსვლა. მოსაწყენი, ნელი, მდორე გადაცემა, სადაც წამყვანები ხელოვნურად და ამაოდ ცდილობენ, დილიდან დადებითი განწყობა შეგვიქმნან. ამისათვის რომ მხოლოდ მომღიმარი გამომეტყველება საკმარისი არ არის, ვგონებ, ცხადია. პროფესიონალიზმის აშკარა დეფიციტს არხის რიგით მეორე და უკანასკნელი გადაცემა "მთავარიც" განიცდის. რამდენიმე დღის წინ თავს ძალა დავატანე და საზოგადოებრივი ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა თავიდან ბოლომდე ვნახე. ტენდენციურობაში ცილს ვერ დავწამებ, ვერ ვიტყვი რომ რეპორტაჟების უმეტესობა მთავრობის დიად მიღწევებს ეძღვნებოდა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ოპოზიცონერები და მათი პოზიციები მუქ ფერებში იყო წარმოდგენილი და საერთოდ, რაც ყველაზე მთავარია, ვერ ვიტყვი - რისთვის კეთდება ეს გადაცემა. 20-მდე სიუჟეტი, ერთმანეთზე უფრო ნელ, მოსაწყენ რიტმში გაკეთებული და აბსოლუტურად არაფრის მთქმელი. სამწუხაროა, რომ არათუ პოზიცია, ფაქტების მშრალი კონსტატაციაც კი ვერ ხდება ისე, რომ მაყურებელმა გაიგოს - რა მოხდა, ახლა რა ხდება, ან მალე რა მოხდება. საზოგადოებრივი ტელევიზიის ეკრანიდან მხოლოდ სიძველის სუნი მოდის, ის ძველ, უკაცრიელ გამოქვაბულს ჰგავს, სადაც ძველი კომუნისტების აჩრდილები უქმად დაიარებიან და უძლური თვალებით შემოგვცქერიან. აღარც შენგელიასეული დიადი წიაღსვლებია ჩვენს, ანუ საზოგადოების ცნობიერებაში და არც ახალი ხელმძღვანელების ენერგიული ენთუზიაზმი. "გვაცალეთ ბატონო, გვაცალეთ, ასე ჩქარა საქმე არ კეთდება" - გვიპასუხებენ ისინი ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, რომელიც 12 წლის განმავლობაში ამას დაგვძახოდა. რასაკვირველია, ასე ჩქარა BBC არ აშენდება. მაგრამ ისიც რთული დასაჯერებელი იქნება, რომ ასეთი "პროფესიონალებისგან" შემდგარმა სამეთვალყურეო საბჭომ და ყოფილი არასამთავროებისგან დაკომპლექტებულმა ხელმძღვანელობამ, ისედაც კასტრირებული არხი, სრულ იმპოტენციამდე მიიყვანა, რომელიც არც არაფერს აშავებს, მაგრამ ვერც ვერაფერს აკეთებს - დღეისათვის ის მხოლოდ, ისედაც გაკოტრებულ საზოგადოებას, უკანასკნელ კაპიკს ართმევს (ეს უკვე დანაშაულია). ჩვენი სტატიის ერთ-ერთი მონაწილე ის მხოლოდ ამ ნიშნით გახდა.

**"რუსთავი 2"** და "**იმედი**". ეს ორი არხი გავაერთიანეთ, ვინაიდან, ავად თუ კარგად, მხოლოდ ისინი მოქმედებენ. რადგან მათ საინფორმაციო გადაცემებსა თუ პოლიტიკურ თოქ-შოუებზე ჩვენ წინამდებარე წერილებში ვისაუბრეთ და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ვისაუბრებთ, დღეს ისინი ყურადღების მიღმა დავტოვოთ.

თუკი შესაძლებელია, ეს სიტყვა გამოვიყენოთ, ყველაზე **სრულყოფილად**, რასაკვირველია, მაინც "რუსთავი 2" გამოიყურება. გემოვნების თუ ზომიერების ზღვარს ის მისი არსებობის ისტორიაში თითქმის არასდროს სცდება. თუკი არ ჩავთვლით ვანო მერაბიშვილისა და გურამ დონაძის საავტორო გადაცემების ციკლს, რომელიც ყველაზე ნეგატიური მოვლენაა ქართულ ტელესივრცეში. "რუსთავი 2" არასდროს დაამზადებს გადაცემებს, როგორიც არის "ალავერდი შენ", "გვაროვნული წყობილება", "ნიკა ქავთარაძის შოუ", "ნაცნობი საქართველო" და სხვა და სხვა. "რუსთავი 2"-ის იუმორისტული გადაცემები, "იმედის" იუმორისტული გადაცემების ფონზე ჩაპლინის გენიალურ ქმნილებებს ჰგავს. ჩვენი შეფასებები მხოლოდ ქართულ სინამდვილეს შეესაბამება და არა მსოფლიო სტანდარტებს, თუმცა მომხრე ვარ საზომი შკალა სწორედ საუკეთესო საერთაშორისო არხი ან ნებისმიერი გადაცემა იყოს. ამიტომ, თუკი ამ შემთხვევაში "შაბათის შოუს" მსახიობებს ჩაპლინს ვადარებთ, ეს მხოლოდ სხვა ქართულ სატელევიზიო გადაცემებთან შეფარდებით ხდება და არა ნამდვილ ჩარლი ჩაპლინთან. "რუსთავი 2"-ის სტრატეგია, რომელიც ვფიქრობ, არხის დამფუძნებლებმა და ყოფილმა ხელმძღვანელებმა დაამკვიდრეს, ამგვარია - მნიშვნელოვანია ხარისხი და არა რაოდენობა. "იმედის" მაგალითზე, ვფიქრობ, ამ მარტივი სენტენციის სიმართლეში დავრწმუნდებით. "იმედის" ეთერში მომრავლებული გადაცემები, მხოლოდ აბინძურებს, ისედაც დაბინძურებულ ტელესივრცეს, ვიდრე აფერადებს მას. ზემოხსენებული გადაცემები, როგორც მასების ცნობიერების მანიპულაციის საუკეთესო საშუალება, პირდაპირ უწყობს ხელს გემოვნების გახრწნასა და დეგრადირებას. თუკი ჩვენ ვცდილობთ, თავი დავაღწიოთ ანაქრონიზმის ისეთ უნიკალურ ნიმუშს, როგორიც ქართული სუფრაა, ტელეკომპანია "იმედი" მის რეაბილიტაციას და რეანიმაციას ხელმეორედ, საკმაოდ წარმატებულად ცდილობს და ახერხებს.

უსამართლო იქნება, ყურადღების მიღმა დავტოვოთ ამ არხების დილის გადაცემები მაშინ, როდესაც შევაფასეთ "საზოგადოებრივი ტელევიზიის" დილის პროგრამა. შედეგი აქაც სავალალოა. "იყავით მხიარულები, გაიღიმეთ, შექმენით სახალისო განწყობა, გააღვივეთ დადებითი ემოციები, მოყევით საინტერესო ამბები და ა.შ." თუკი არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ საპასუხისმგებლო დავალების შესრულებას მაღალი პროფესიონალიზმი სჭირდება, და არა მხოლოდ რომელიმე ინსტიტუტის მიერ გაცემული დიპლომი, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მსგავს ბედკრულ ქვეყანაში ძალიან რთულია, დილის 7 საათიდან სახე გიღიმოდეს და თანაც ცდილობდე, სხვაც გააღიმო. ცხოვრება არც ისე მშვენიერია, როგორც ეს არხის ხელმძღვანელებს და ხელმძღვანელების პირობით უფროსებს ჰგონიათ. ამიტომ არაბუნებრივი და ვალდებული ღიმილის, უინტერესო თემების და ძირითადად უინტერესო სტუმრების შედეგად მაყურებლის განწყობა დილიდანვე უიმედოა.

**დაბოლოს.** თუკი ჩვენც შევეცდებით, წინასაახალწლოდ, ახალი ხელისუფლების აგიტაცია-პროპაგანდაზე არ ვისაუბროთ, რომელსაც წამყვანი ტელეარხები აქტიურად აწარმოებენ, მაშინ ჩვენი შეფასება ამგვარი იქნება: არაპოლიტიკური, გასართობ-შემეცნებითი გადაცემების პროფესიონალიზმის, გემოვნებისა და ცოდნის დონე ათბალიან სისტემაში 3-ს იმსახურებს. ამიტომ, რადგან ზემოხსენებულ და ასევე უხსენებელ ტელეარხებს არაპოლიტიკურ ჭრილში განვიხილავთ, რასაკვირველია, "პენსია სტაჟისა და დამსახურების მიხედვით", ისევ "რუსთავი 2"-ს ეკუთვნის, რომელიც მოცემულ სურათზე, ქართულ ტელესინამდვილეში ერთპიროვნული ლიდერია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა არხებს და სხვა გადაცემებს მაყურებელი არ ჰყავს. მეტად თუ ნაკლებად, რეიტინგული ტელეარხები კი თავის მხრივ ენერგიას არ იშურებენ დაგვაჯერონ - გუშინ თბილისში ნამდვილი თოვლის ბაბუა ჩამოვიდა.

## ეკა და ბიუჯეტი

FM ცნობი 92.0

**ეკა კვესიტაძე**: "დიალოგების" სტუმრები არიან ჟურნალისტი რეზო საყევარიშვილი და ექსპერტი ირაკლი ხოდელი. ჩვენი დღევანდელი თემა ახალი სახელმწიფო ბიუჯეტია. ოპოზიციამ განაცხადა, რომ ბიუჯეტი, რომელიც წარმოადგინეს ათი დღით ადრე, აბსოლუტურად განსხვავდებოდა იმისგან, რაც ბოლოს შემოიტანეს განსახილველად. რასთან გვაქვს საქმე, როცა ასეთი შემთხვევა ხდება? ეს პარლამენტის იგნორირებაა? რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ იმისთვის, რომ მონიტორინგი დაუწესოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს? და არის კი საერთოდ ასეთი მონიტორინგი?

**რეზო საყევარიშვილი**: ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი გაუმჭვირვალეა.

**ირაკლი ხოდელი**: საზოგადოება უნდა იყოს აქტიურად ჩართული მონიტორინგში. დასავლეთში საზოგადოება ძალიან აქტიურად არის ჩართული საბიუჯეტო, ქვეყნის საჯარო რესურსების გადანაწილების პროცესში და ეს ხდება რამდენიმე ეტაპზე. როცა ბიუჯეტი შედის პარლამენტში, მაშინ სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ერთვებიან განხილვაში. კანონპროექტის ანალიზს სხვადასხვა კუთხიდან, სხვადასხვა სტატუსის ადამიანები ახდენენ. შესაბამისად, ბიუჯეტის ფორმირება ხდება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით.

**ეკა კვესიტაძე**: ახლა თუ მოხერხდა საზოგადოების ჩართვა და მისი ინტერესების გათვალისწინება? დიდი ხნის მანძილზე გვესმოდა, რომ ბიუჯეტის მიღებასა და ჩამოყალიბებაში გარკვეული რეფორმა უნდა მომხდარიყო. საერთოდ, ბიუჯეტში უნდა ირეკლებოდეს ის, თუ როგორ ხედავს ხელისუფლება ქვეყნის სამომავლო განვითარების სურათს. გვაქვს თუ არა რეფორმირებული ბიუჯეტი?

**რეზო საყევარიშვილი**: საგულისხმოა, რომ ყველაფერი, რაც ირაკლიმ თქვა, დარღვეულია. ჩვენთან ხომ ჯერ კანონი მიიღება და მხოლოდ შემდეგ იწყება მასზე საზოგადოებრივი მსჯელობა. ამ თვალსაზრისით არც წლევანდელი ბიუჯეტი იყო გამონაკლისი. სამწუხაროდ, ის ისევ არ არის პროგრამირებული, მასში ასევე საკმაოდ დიდია გაუმჭვირვალობის მახასიათებელი და ნაკლებად იკითხება ის გაცხადებული პრიორიტეტები, რომლის შესახებაც ძალიან ხშირად გვესმის. ის, რაც ყველაზე მკვეთრად იკითხება, ეს არის გასამხედროებაზე მიმართული ხარჯების გაძლიერების ტენდენცია. რაც შეეხება ყველა სხვა ვალდებულებას, რომლებიც ხელისუფლებას აქვს აღებული: იქნება ეს მისი სოციალური ვალდებულებები, განათლების რეფორმა თუ ეკონომიკური სტრუქტურული რეფორმები, - ეს ყველაფერი საკმაოდ მწირადაა წარმოდგენილი.

**ეკა კვესიტაძე**: მაშინდელი ოპოზიცია შევარდნაძის მთავრობას სულ აკრიტიკებდა, რადგან არ ხდებოდა ბიუჯეტის რეფორმა, პროგრამული დაფინანსება. ახლა ის ოპოზიცია ხელისუფლებას წარმოადგენს. რატომ არ აკეთებს ამ ყველაფერს, რატომ არ დაიწყო ეს პროცესი?

**რეზო საყევარიშვილი**: მხოლოდ იმიტომ, რომ ის უკვე ხელისუფლებაა და მის ხელშია ძალაუფლება. შეიცვალნენ მოქმედი პირები და არა ტრადიცია.

**ეკა კვესიტაძე**: ირაკლი, შენ უწევ მონიტორინგს იმას, თუ როგორ იხარჯება გრანტებიდან შემოსული ფული. რა მონაცემები არსებობს დღეისთვის, იხარჯება თუ არა მიზნობრივად, ისე, როგორც იყო გათვლილი?

**ირაკლი ხოდელი**: მოგეხსენებათ, ჩვენს მთავრობას აქვს დამატებითი შემოსავლები უცხოური გრანტების სახით. ეს ფული საკმაოდ არაგამჭვირვალედ იხარჯება. საგრანტო ხელშეკრულებებში წერია, რომ ეს თანხა უნდა მოხმარდეს კონკრეტულ პროექტებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენონ როგორც სახელმწიფოს მორიგი შემოსავალი.

**ეკა კვესიტაძე**: წინა ხელისუფლებას ასევე ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ბიუჯეტში იყო ბევრი პარაზიტი ორგანიზაცია, რომელიც არ უნდა დაფინანსებულიყო სახელმწიფო ფულით. დღეს რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით, არიან თუ არა ეს ორგანიზაციები ბიუჯეტიდან დასაფინანსებელთა სიაში?

**რეზო საყევარიშვილი**: დღეს სტრუქტურული და ეკონომიკური რეფორმების გარკვეულ ჭრილში პარაზიტი ორგანიზაციები მეტ-ნაკლებად გაიფილტრა, მაგრამ, მეორე მხრივ, შეინიშნება გარკვეული ტენდენცია გამსხვილებული ორგანიზაციების სახით, სადაც ის პატარა ორგანიზაციები მიეკედლნენ სხვებს, სხვადასხვა სამინისტროებს და სხვადასხვა ორგანოებს. ახლა უკვე ამ გზით ახერხებენ ფინანსების გადაქაჩვას.

**ეკა კვესიტაძე**: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ახლანდელმა ხელისუფლებამ შექმნა იმ სქემების ასლები, რომლებიც ჰქონდა წინა ხელისუფლებას?

**რეზო საყევარიშვილი**: ვერ ვიტყვით, რომ ეს სქემები ბრმად გადაიღეს. უნდა დავაფასოთ, რომ ეს სქემები ბევრ შემთხვევაში გაცილებით დახვეწილი და ძნელად სადავოა. მაგრამ ის ჯაჭვები და შტოები: ნათესაური კავშირები, მეგობრობა და სხვა, როგორც წინა ხელისუფლებაში, დღესაც არსებობს. სიტუაციას ასუსტებს ის, რომ პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი საზოგადოებრივი კონტროლი.

**ირაკლი ხოდელი**: ახლახან ფინანსთა სამინისტრო გამოვიდა ინიციატივით, შემოეღოთ ერთიანი სახაზინო ანგარიში, სადაც გაერთიანდებოდა ყველა შემოსავლის წყარო. ეს ინიციატივა განაპირობა იმან, რომ ძალიან რთულდება ამ თანხებისთვის თვალის მიდევნება. საზოგადოებრივი კონტროლი უნდა დაუწესდეს არა მხოლოდ დანახარჯებს, არამედ შემოსავალსაც, იმას, თუ როგორ განისაზღვრა პრიორიტეტები, როგორ ნაწილდება მწირი რესურსები...

## თოვლის ბაბუა უშგულიდან

*ხელისუფლებამ ახალი წლის დადგომის მოახლოება ბავშვებს ორიგინალურად მიულოცა. თოვლის ბაბუა ვერტმფრენით უშგულიდან პირდაპირ თავისუფლების მოედანზე ჩამოფრინდა. იქ მას ლიმუზინი ელოდებოდა, რათა შემდეგ პარლამენტის წინ გადაენაცვლა და ნაძვის ხე აენთო. თოვლის ბაბუა უშგულში ცხოვრობს, იგი ჩამოვიდა და პატარებს ბევრი საჩუქრები ჩამოუტანა.*

საღამოს 5 საათი. ყველა ელოდება ვერტმფრენის გამოჩენას. ელოდება იმიტომ, რომ მასში თოვლის ბაბუა ზის. ვერტმფრენიც გამოჩნდა, ჰაერში რამდენიმე წრე გააკეთა და დაეშვა. ბავშვების აღტაცებული შეძახილები და ყველამ ვერტმფრენთან მოიყარა თავი. თოვლის ბაბუა ხალხს მიესალმა და გეზი პარლამენტისაკენ აიღო. დამსწრე საზოგადოებაც მას გაჰყვა.

იქ მხოლოდ ბავშვებს კი არა, ყველა ასაკის ადამიანს ნახავდით. წინასაახალწლო განწყობა სუფევდა. რაიონებიდან ბავშვები ავტობუსებით იყვნენ ჩამოსულები.

თოვლის ბაბუამ სრულიად საქართველოს მიულოცა დამდეგი ახალი წელი, აფხაზეთის დაბრუნების იმედი გამოთქვა და ნაძვის ხე აანთო. ბავშვებმა იმღერეს, ლექსები თქვეს. დუტა სხირტლაძე ენერგიულად ცდილობდა ხალისიანი განწყობა შეექმნა. პატარა გოგონამ შეასრულა უკრაინული სიმღერა, საქართველოსა და უკრაინის მეგობრობის ნიშნად.

კონცერტი მალევე დასრულდა. ძირითადი დატვირთვა მაინც ვერტმფრენს ჰქონდა. ეფექტიც სწორედ მასზე იყო გათვლილი.

თოვლის ბაბუა ბავშვებს დაპირდა, რომ ანალოგიური ნაძვის ხეები დაიდგმება საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში.

მართალია, ხალხის სიმრავლის გამო ყველა ბავშვმა ვერ მოახერხა თოვლის ბაბუის დანახვა და საჩუქრის მიღება, მაგრამ ეს გამოსწორებადია. ბაბუამ უარი განაცხადა პრეზიდენტთან ცხოვრებაზე და ბინა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, კოლხურ კოშკში დაიდო. ასე რომ, ვისაც თოვლის ბაბუის ნახვა და საჩუქრის მიღება სურს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს უნდა ესტუმროს.




### სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006

4 იანვარს 15 საათზე "კათარზისის" სათნოების სახლში გაიმართება ხანდაზმულთა მეორე კონკურსი: ცეკვაში, სიმღერაში, სასცენო ხელოვნებაში, თანამედროვე და თეატრალური კოსტუმების ჩვენებაში.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საპენსიო ასაკის ქალბატონებსა და მამაკაცებს, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მსახიობები.

დაწესებულია პრემიები. ნომინაციებში გამარჯვებულთაგან ჟიური დაასახელებს სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006-ის წოდების მფლობელებს.

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით "კათარზისში", 30 დეკემბრის ჩათვლით.

მისამართი: დ. აღმაშენებლის 121

ტელეფონი: 95-43-32; 95-77-85 (10 საათიდან 17 საათამდე,შაბათ-კვირის გარდა)

ზაურ-ლაზარე ალადაშვილი ასოციაციის პრეზიდენტი.

**საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ვაკანტურია გენერალური პროკურტურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობა, სამეურნეო დარგში. უმაღლესი განათლების მქონე მსურველები დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: საქართველოს გენერალური პროკურატურა, ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ.N24 ტელეფონები; 877 71 29 56, 98 21 62**

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში აცხადებს ტენდერს მცირე სარემონტო სამუშაოებზე. დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2006 წლის 19 იანვრისა. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ გვედზე: **www.undp.org.ge**

UNDP